პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 219 (11525) | შაბათი, 19 სექტემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.



ვაშინგტონი. ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრა ამერიკელ ჟურნალისტებთან პრესის ეროვნულ კლუბში.
ფოტო საკდესის სპეციალური კორესპონდენტის ვ. ეგოროვისა. (სურათი მიღებულია ფოტოტელეგრაფით).

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პრეს-ჯგუფის ცნობა

16 სექტემბერს ნაშუადღევს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს ვაშინგტონის ღირსშესანიშნაობანი, ღირსსახსოვარი ადგილები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა დიდი ყურადღებით დაათვალიერა შესანიშნავი ძეგლი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის აბრაამ ლინკოლნისა, რომელიც გასული საუკუნის შუა ხანებში სათავეში ედგა ჩრდილოეთის ბრძოლას სამხრეთის წინააღმდეგ ამერიკის სამოქალაქო ომის დროს. მან მიმართა შეკრებილთ და თქვა: „ჩვენს ქვეყანაში დიდი პატივისცემით სარგებლობს ხსოვნა აბრაამ ლინკოლნისა, ამერიკის შეერთებული შტატების იმ დროის ყველაზე ადამიანური ადამიანისა, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ადამიანთა განთავისუფლებას. თავს ვხრით მის წინაშე. მისი სახელი საუკუნეებში იცოცხლებს“.

ამ სიტყვებმა ძეგლის კვარცხლბეკთან შეკრებილ ვაშინგტონის მცხოვრებთა დიდი ჯგუფის მხურვალე ტაში გამოიწვია.

შუადღისას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა შემდეგი წერილი გაუგზავნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს:

„მის აღმატებულებას **ნიკიტა ს. ხრუშჩოვს,**
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს,

თეთრი სახლი, 1959 წლის 16 სექტემბერი.

პატივცემულო ბატონო თავმჯდომარევ,

პირი ალმისა, რომელიც მთავრეზე გაიგზავნა 12 სექტემბერს გაშვებული საბჭოთა რაკეტით, გუშინ რომ მიძღვენით ჩემს კაბინეტში, დიდხანს მომაგონებს თქვენს ჩამოსვლას შეერთებულ შტატებში. დიდი მადლობელი ვარ ყურადღებისათვის, ამ საჩუქრის მოძღვნისათვის.

ახლა, როცა მოგზაურობას იწყებთ ჩვენს ქვეყანაში, ჩემი თანამემამულენი და მე გისურვებთ ფრიად საინტერესო და სასიამოვნო მოგზაურობას.

გულწრფელად თქვენი **დუაიტ ეიზენჰაუერი**“.

ამავე დღეს ნ. ს. ხრუშჩოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფის თანხლებით ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს, სადაც იგი მიიღეს სენატის წამყვანმა მოღვაწეებმა სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის უ. ფულბრაიტისა და უმრავლესობის ლიდერის ლ. ჯონსონის მეთაურობით. გულწრფელი და გულახდილი საუბარი საათნახევარს გაგრძელდა.

საუბრის დამთავრების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა პასუხი გასცა საბჭოთა და ამერიკის პრესის წარმომადგენელთა შეკითხვებზე. მან განაცხადა:

მე დამაკმაყოფილა ამ საუბარმა. იგი გულწრფელი და გულახდილი იყო. ყველამ შეძლო მოეცა თავისთვის საინტერესო შეკითხვები და მიეღო პასუხი. მე მიმაჩნია, რომ დღევანდელი შეხვედრა სენატორებთან კარგი და სასარგებლო იყო. რაც უფრო მეტი იქნება ასეთი შეხვედრა და საუბარი, მით უფრო კარგად გავიგებთ ერთმანეთის მისწრაფებას და დავახლოვდებით ჩვენს მეცადინეობაში მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ჩვენ, საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენელნი, იმის მომხრენი ვართ, რომ მშვიდობიანად და მეგობრულად ვიცხოვროთ ამერიკელ ხალხთან და სხვა ქვეყნების ხალხებთან. რაც შეეხება ჩვენი სისტემების სხვადასხვაობას, ეს საკითხი თვითონ ხალხებმა უნდა გადაწყვიტონ. ჩვენ უნდა ვმეგობრობდეთ პატივს ვცემდეთ ერთმანეთსა და იმ სისტემებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ხალხებს აურჩევიათ.

16 სექტემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ნ. პ. ხრუშჩოვამ საბჭოთა საელჩოში სადილი გამართეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და ქ-ნ ეიზენჰაუერის და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წევრთა პატივსაცემად. სადილის დროს ნ. ს. ხრუშჩოვმა და დ. ეიზენჰაუერმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ს. ხრუშჩოვის ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს დღითიდღე ძლიერდება საზოგადოებრიობის ინტერესი მისი ვიზიტისადმი. ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლები ცხოველ გამოხმაურებას იწვევენ ამერიკელებში, მის სახელზე მოდის მრავალი წერილი და დეპეშა. თვალსაჩინო ამერიკელმა მრეწველმა და საზოგადო მოღვაწემ **საირუს იტონმა** შემდეგი შინაარსის დეპეშა გამოუგზავნა:

„ფრიად პატივცემულ **ნიკიტა ს. ხრუშჩოვს,**
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს.

მრავალ მილიონ ამერიკელთან ერთად მე დიდად მოხიბლული ვიყავი, როცა ტელევიზიით ვხედავდი და ვისმენდი თქვენს ბრწყინვალე გამოსვლას პრესის კლუბში. მიიღეთ უგულთადესი მოლოცვა.

საირუს იტონი“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგი პასუხი გაგზავნა:

„ბატონ **საირუს იტონს.**

პატივცემულო ბ-ნო იტონ!

მივიღე თქვენი დეპეშა. თქვენ დიდად მასიამოვნეთ თქვენი ყურადღებით, და ამიტომ თავს ნებას ვაძლევ შეგაწუხოთ ჩემი პასუხით.

გულწრფელ მადლობას გიძღვნით გულთბილი სიტყვებისათვის ჩემი გამოსვლის შესახებ. ეს მით უფრო სასიამოვნოა, რომ თქვენ ესოდენ თვალსაჩინო მდგომარეობა გიკავიათ ამერიკის შეერთებული შტატების საქმიან სამყაროში. გისურვებთ ჯანმრთელობასა და წარმატებას თქვენს მოღვაწეობაში ჩვენი დიდი სახელმწიფოების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად.

პატივისცემით **ხრუშჩოვი.**

ვაშინგტონი, 1959 წლის 16 სექტემბერი“.

17 სექტემბერს დილით ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი სპეციალური მატარებლით ვაშინგტონიდან ნიუ-იორკში გაემგზავრნენ.

ვაშინგტონი — ნიუ-იორკი,
1959 წლის 17 სექტემბერი.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ამერიკელ ჟურნალისტთა კითხვებზე პრესის ეროვნულ კლუბში ვაშინგტონში 1959 წლის 16 სექტემბერს

მას შემდეგ რაც ნ. ს. ხრუშჩოვმა დაამთავრა თავისი გამოსვლა, პრესის ეროვნული კლუბის თავმჯდომარემ უ. ლოურენსმა წინადადება წამოაყენა გადასულიყვნენ კითხვა-პასუხზე.

ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტთან დაკავშირებულ პირველ კითხვას აშკარა პროვოკაციული ხასიათი ჰქონდა. ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა: მე მინდა შევეკითხო იმათ, ვინც ეს კითხვა გამოიგონეს: როცა ისინი მას თხზავდნენ, როცა ისინი მას იგონებდნენ, რა მიზნები ჰქონდათ, რას ისახავდნენ. რა სურდათ? თქვენ, ალბათ გსურთ შევიწროვებულ მდგომარეობაში ჩამაყენოთ და უკვე წინასწარ იცინით. რუსები ამბობენ — კარგად იცინის ის ვინც, უკანასკნელი იცინისო. და თქვენც, ყოველგვარი სუელერური მონაჭორის შემთხზველო ბატონებო, წინასწარ რომ იცინით იმის გამო, ეს რა მარჯვედ მოვიგონეთო, შემდეგ სანანებელი არ გაგიხდეთ თქვენი მონაჭორი.

პროვოკაციას არ ავყვები და არ ვუპასუხებ არამეგობრული გამოხდომებით ამერიკის შეერთებული შტატების პრესის ბევრი ღირსეული წარმომადგენლის წინააღმდეგ, რომლებიც აქ არიან შეკრებილნი. მხოლოდ დავძენ, რომ ტყუილი, რა ფენებითაც უნდა დადიოდეს იგი, ვერასოდეს ვერ დაეწევა სიმართლეს. **(ტაში).**

კითხვა: მხოლოდ თანადამთხვევა იყო, რომ საბჭოთა კავშირმა მთვარეზე რაკეტა გაუშვა თქვენი აქ ჩამოსვლის წინ? მთვარეზე ალმის გაგზავნა ხომ არ ასახავს თქვენს განზრახვას, რომ წამოაყენოთ მთვარის ფლობის პრეტენზიები?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩემი გამომგზავრებისა და მთვარეზე საბჭოთა რაკეტის გაგზავნის თანადამთხვევა უბრალო, მაგრამ, მე ვიტყოდი, სასიამოვნო თანადამთხვევაა. **(სიცილი დარბაზში).** თუ რომელიმე თქვენგანს ეეჭვება ეს თანადამთხვევა, მე მათ გავგზავნიდი თქვენს მეცნიერებთან — დაე მეცნიერებმა განგიმარტონ, რაშია საქმე. მოდით, უთხარით მეცნიერებს, რომ მათ ამა და ამ რიცხეს შეუფარდონ რაკეტის გაშვება მთვარეზე, და ნახავთ, აქედან რა გამოვა. **(სიცილი დარბაზში, ტაში).**

ახლა, ბატონებო, მე მინდა ვუპასუხო ჩემთვის მოცემული კითხვის მეორე ნაწილზე — მთვარეზე ალმის მიტანა საფუძველია თუ არა საბჭოთა კავშირისათვის, რომ მან წამოაყენოს რაიმე მესაკუთრული პრეტენზიები მთვარის მიმართ. გთხოვთ სწორად გაიგოთ ჩემი სიტყვები, არ მინდა ვისმე რაიმე ვაწყენინო: ჩვენ სხვადასხვა კონტინენტების, სხვადასხვა ფსიქოლოგიის ადამიანები ვართ.

ისინი, ვინც ასე აყენებს საკითხს, აზროვნებენ კერძოკაპიტალისტური ფსიქოლოგიის ცნებებით, მე კი სოციალისტური წყობილების, ახალი მსოფლმხედველობისა და ახალი ცნებების ადამიანი ვარ. ჩვენში ცნება „ჩემი“ კვდება, ხოლო ინერგება ახალი ცნება „ჩვენი“. ამიტომ კოსმოსში რაკეტის გაგზავნა და მთვარეზე ჩვენი ალმის მიტანა ჩვენს მოხაპოვრად მიგვაჩნია. და ამ სიტყვით „ჩვენი“ ჩვენ ვგულისხმობთ მთელი მსოფლიოს ქვეყნებს, ე. ი. ვგულისხმობთ, რომ ეს არის თქვენი მიღწევაც და დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის მიღწევაც. **(ტაში).**

კითხვა: როგორია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის ორმხრივი ვაჭრობის გადიდების შესაძლებლობანი, განსაკუთრებით ფართო მოხმარების საქონლის დარგში: უფრო მეტად რა გესაჭიროებათ, და რა შეგიძლიათ გაჰყიდოთ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჩვენ ყველაზე მეტად გვესაჭიროება ის, რომ მოხდეს ვაჭრობაში დისკრიმინაციის ლიკვიდაცია. ეს ყველაზე მთავარია. რასაც თქვენ აკეთებთ, ყოველივე იმის გაკეთება ჩვენც შეგვიძლია, ხოლო ზოგიერთი რამ ჩვენ უფრო ადრე გავაკეთეთ, ვიდრე თქვენ. **(სიცილი დარბაზში).** ჩვენ არაფერს არა გთხოვთ. ზოგიერთ საქონელს თქვენ დღეს მეტს აწარმოებთ, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ეს აიხსნება ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოებებით. თქვენი ქვეყანა გაცილებით უფრო ადრე დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, ვიდრე ჩვენი ქვეყანა, და ამიტომ თქვენ თქვენი ეკონომიკა განავითარეთ უფრო მეტად, ვიდრე რევოლუციამდელი რუსეთის ეკონომიკა იყო განვითარებული. მაგრამ თქვენ იცით, რომ ახლა ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში დიდი ცვლილებები მოხდა. ჩვენ ჯერ კიდევ მივდივართ თქვენგან რამდენიმე მანძილით დაშორებული. მაგრამ ჩვენ აი ასე ვუახლოვდებით ერთმანეთს **(დარბაზში იწყება გამოცოცხლება, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი ხელებით უჩვენებს, თუ როგორ მცირდება მანძილი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკას სსრ კავშირის ეკონომიკისაგან აშორებს),** და მე ვფიქრობ, რომ შორს არ არის ის დღე, როცა აი ასე შეიცვლება ჩვენი ადგილები ამ მოძრაობაში; ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში თქვენ გეწევით, და შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენ გაგისწრებთ.

უნდა ვთქვა, რომ მე ამერიკის შეერთებულ შტატებში გრძელი ხელით როდი ჩამოვსულვარ, რათა ხელი თქვენს ბანკებში ჩავყო. ეს თქვენია, ჩვენ ჩვენი გვეყოფა. **(სიცილი).** ქუდს ისე არ დავიჭერ, რომ თვითეულმა შიგ ჩამიგდოს ის, რის ჩაგდებაც მას შესაძლებლად მიაჩნია. **(მხიარული გამოცოცხლება).** ჩვენ ვამაყობთ ჩვენი სისტემით, ჩვენი ხალხით, ჩვენი სახელმწიფოთი და ჩვენი მიღწევებით. ჩვენ გვინდა ვიყოთ კარგი პარტნიორები თქვენთან, ისევე როგორც ყველა ქვეყანასთან ვაჭრობაში. ხოლო რაც შეეხება ჩვენს ქვეყნებს შორის ვაჭრობის განვითარებას, ჩვენ ასე ვუყურებთ საქმეს — უნდა ვყიდულობდეთ იმას, რაც ჩვენ გვესაჭიროება, თქვენ კი მოგვყიდით იმას, რის გაყიდვაც შესაძლებლად მიგაჩნიათ.

მე ახლა არ ვაპირებ ვაჭრობის შესახებ კონკრეტული მოლაპარაკების წარმოება. მე შეგნებულად არ წამომიყვანია თან არავინ საგარეო ვაჭრობის სამინისტროდან, რათა არ იფიქრონ, რომ მე ჩამოვედი გრძელი ხელით მდიდარ ძია სემთან. **(სიცილი დარბაზში).**

თუ თქვენ სურვილი გექნებათ განვავითაროთ ვაჭრობა, იქნებიან ჩვენი წარმომადგენლებიც, რომლებიც შეძლებენ კონკრეტულად შეგითანხმდნენ ამ საკითხზე. ისინი უკვე კონკრეტულად ილაპარაკებენ იმაზე, თუ თქვენ რა შეგიძლიათ მოგვყიდოთ, ხოლო ჩვენ რის ყიდვა გვინდა თქვენგან.

კითხვა: თქვენს გამოსვლაში თქვენ ილაპარაკეთ იმაზე, რომ არ უნდა იყოს ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში. როგორ შეავთავსოთ ეს სიტყვები რუსეთის ჩარევასთან უნგრეთის საქმეებში?

ნ. ს. ხრუშჩოვი: იცით, ეგრეთწოდებული უნგრეთის საკითხი ზოგიერთს კბილებში გაეჩხირა, როგორც მკვდარი ვირთაგვა: მათთვის ეს არასასიამოვნოც არის და ვერც გამოუფურთხებიათ. **(სიცილი დარბაზში).** თუ თქვენ გინდათ ჩვენს საუბარს ასეთი მიმართულება მისცეთ, მე შემიძლია არაერთი მკვდარი კატა მოგიგდოთ. იგი უფრო ახალი იქნება, ვიდრე უნგრეთის ცნობილი ამბების საკითხი.

ხოლო რაც შეეხება უნგრეთს, ამაზე ბევრჯერ საკმაოდ ამომწურავად მითქვამს ჩემს გამოსვლებში. განსაკუთრებით დიდი კმაყოფილებითა და სიხარულით ვაძლევდი პასუხს უნგრელ ხალხს, როცა უნგრეთში ვიყავი სტუმრად და წარმოვადგენდი იქ ჩვენს სახელოვან საბჭოთა კავშირს. ეს იყო უნგრეთის ამბების ცოტა ხნის შემდეგ. მთელი უნგრეთი ისე გვიკრავდა ტაშს, რომ არ ვიცი, უფრო მეტად და უკეთ როგორ შეიძლება საბჭოთა კავშირისადმი უნგრელთა ნამდვილი დამოკიდებულების გამოხატვა. უნგრეთთან ჩვენ დიდი ხანია გადაწყვეტილი გვაქვს ყველა საკითხი, და ჩვენ საერთო მწყობრში ძლევამოსილად მივდივართ წინ. ისინი აშენებენ სოციალიზმს, ხოლო ჩვენ — კომუნიზმს. ჩვენი მიზნები თანხვდება ერთმანეთს — ერთი გზა გვაქვს და ერთი მიზანი.

შემიძლია აგრეთვე ვთქვა, რომ ამგვარ შემხვედრ კითხვებს არ მოგცემთ, რადგან ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვედი სხვა მიზნებით, ჩამოვედი კეთილი განზრახვებითა და წმინდა გულით. ჩამოვედი არა იმისათვის, რომ ვეძებო სხვადასხვა საკითხი ჩვენს ქვეყნებს შორის, ჩვენს მთავრობებს შორის ურთიერთობის გასამწვავებლად, არამედ იმისათვის, რომ გავაუმჯობესოთ არსებული ურთიერთობა, მოვიშოროთ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქენები გზიდან, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენი ქვეყნების დაახლოებას. ამიტომ არაფერი არ მინდა გავაკეთო, რაც საწინააღმდეგო იქნება ამ მთავარი მიზნისა — ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებისა, „ცივი ომის“ მდგომარეობის ლიკვიდაციისა, რაც ხელს შეუშლის მეგობრობის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების უზრუნველყოფას.

კითხვა: ბატონო ხრუშჩოვ, სანამ თქვენ შეერთებულ შტატებში იქნებით, გექნებათ თუ არა საუბარი პრეზიდენტ ეიზენჰაუერთან ჩვენს ქვეყნებს შორის საჰაერო ხაზების დაწესების თაობაზე საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის შეთანხმების დადების შესახებ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ეს ძალიან კონკრეტული საკითხია, და, რა თქმა უნდა, იგი არ არის ჩვენი საუბრების პროგრამაში, იმიტომ რომ ეს პატარა და კერძო საკითხია. მაგრამ ჩვენ მზად ვართ დავაწესოთ საჰაერო მიმოსვლა ჩვენს ქვეყნებს შორის. ჩვენს ქვეყანას საჰაერო მიმოსვლა აქვს ევროპისა და აზიის ბევრ ქვეყანასთან. თუ შეერთებული შტატების მთავრობას სურვილი ექნება მიღწეულ იქნას ასეთი შეთანხმება, არა მგონია, რომ ჩვენ — პრეზიდენტსა და მე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დაგვჭირდეს ამ საკითხზე მუშაობა. ამის გაკეთება შეუძლიათ ჩვენს მინისტრებს.

კითხვა: ჩვენ, ბატონო ხრუშჩოვ, ყოველთვის ვცდილობთ წინასწარ მივიღოთ ცნობები თქვენგან, და ამიტომ მინდა გკითხოთ, როდის ფიქრობთ ადამიანის გატყორცნას მთვარეზე?

ნ. ს. ხრუშჩოვი: თქვენ იხმარეთ საკმაოდ უხერხული გამოთქმა „ადამიანის გატყორცნა“. ადამიანის გატყორცნას ჩვენ არ ვაპირებთ, იმიტომ რომ დიდად ვაფასებთ ადამიანს და არავის არ გავტყორცნით. ადამიანს კოსმოსში გავგზავნით მაშინ, როცა შექმნილი იქნება საჭირო ტექნიკური პირობები. ასეთი პირობები ჯერ კიდევ არ არის. ჩვენ არ გვინდა „გატყორცნა“ ასეთი გაგებით, გატყორცნა გადაგდებას წააგავს. ჩვენთვის ადამიანები ძალიან ძვირფასი არიან.

კითხვა: რუსეთი მზად იქნება თუ არა გაუზიაროს კანადას და შეერთებულ შტატებს, მის არქტიკულ მეზობლებს, ინფორმაცია, რომელიც რუსმა მეცნიერებმა მიიღეს არქტიკაში მათი ფართო და ძალიან წარმატებითი კვლევის შედეგად?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ვფიქრობ, რომ მზად იქნება. ამ საკითხში ყველა ქვეყანა უნდა თანამშრომლობდეს. ეს სასარგებლოა. საერთოდ ჩვენ ყოველგვარი მონოპოლიის წინააღმდეგი ვართ. **(სიცილი, ტაში).**

კითხვა: რა არის მიზანი თქვენი გამგზავრებისა პეკინში შეერთებული შტატებში გამომგზავრების შემდეგ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ეს, ჩანს, ყველაზე „რთული“ საკითხია. **(სიცილი დარბაზში).** ამხანაგებო... ბოდიში, აქ არიან ამხანაგები და ბატონები. **(სიცილი დარბაზში).** თავს იჩენს ჩვეულება. ამასთან აქ არიან ჩვენი საბჭოთა ჟურნალისტები, რომლებთან მიმართვაში ჩვენში მიღებულია ვიხმაროთ სიტყვა „ამხანაგებო“. ეს ჩვეულებრივი მიმართვაა. გარდა ამისა, მე არ მინდა შევეკითხო ვარაუდს, რომ თქვენს შორისაც გვესწრებიან ისეთები, რომლებიც პროტესტს არ განაცხადებდნენ, თუ მე მათ ამხანაგებს ვუწოდებდი. **(გამოცოცხლება დარბაზში).** ამრიგად, მოგმართავთ — ბატონებო **(სიცილი),** ვფიქრობ, რომ ჟურნალისტები არა მარტო წერენ, არამედ კიდევაც კითხულობენ. **(სიცილი).** თუ ჟურნალისტები კითხულობენ, მათ უნდა ახსოვდეთ, რომ 1959 წლის 1 ოქტომბერს სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც ძალაუფლება დაიპყრო ამერიკის ...ათ ხედავთ, თქვენ ახლავე იტყვით — აი ხრუშჩოვი რაზე ფიქრობსო **(სიცილი),** პირდაპირ ცხელ კვალზე დამიჭირეთ **(სიცილი)...** ძალაუფლება დაიპყრო ჩინეთის მუშათა კლასმა და ჩინეთის მშრომელმა გლეხობამ. 10 წელი სრულდება ჩინეთში სახალხო ხელისუფლების დამყარების დღიდან. ჩინელი ხალხი ზეიმით აღნიშნავს ამ დღეს, ისევე როგორც ჩვენ აღვნიშნავთ ჩვენი მეგობრების ამ დღეს. ჩვენ, მაგალითად, მიგვაჩნია, რომ შესაძლოა როდისმე იქნეს დრო, როცა წელთაღრიცხვა ოქტომბრის რევოლუციის მოხდენის დღიდან იწყრმოებს. მაგრამ ეს მომავალია. ჩინელებისთვისაც ძვირფასია გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს, და ჩვენ პატივს ვცემთ მათს სიყვარულს თავიანთი წარმატებებისადმი. როცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავი იყო, მე მაშინ ვმეთაურობდი საბჭოთა დელეგაციას დღესასწაულზე და პეკინში ვიყავი. ახლა ჩვენ მივიღეთ ჩინეთის მთავრობის მიწვევა მეათე წლისთავის დღესასწაულზეც გავგზავნოთ ჩვენი დელეგაცია. ჩემი დრო ისე განისაზღვრა, რომ 28 სექტემბერს საბჭოთა კავშირში უნდა ჩავიდე, მეორე დღეს კი პეკინში გავფრინდე. ჩემთვის ეს, რა თქმა უნდა, ადვილია, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს დიდი პატივიც არის — დავყო ჩვენს მეგობრებს შორის ჩინეთში. საბჭოთა დელეგაცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ჯერ კიდევ მანამდე გაემგზავრება, სანამ მე მოსკოვში ჩავიდოდე. ჩემი არყოფნის დროს დელეგაციის სათავეში ამხანაგი სუსლოვი იქნება.

კითხვა: ბატონო ხრუშჩოვ, შეგიძლიათ თუ არა გვიპასუხოთ ასეთ კითხვაზე: წამოაყენეთ თუ არა თქვენ რაიმე ახალი წინადადება თქვენს დღევანდელ გამოსვლაში, შეიცავს თუ არა თქვენი დღევანდელი გამოსვლა რაიმე ახალ წინადადებას, მიმართულს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისაკენ?

ნ. ს. ხრუშჩოვი: ჯერ ის საკითხები უნდა გადავწყვიტოთ, რომლებიც უკვე წამოყენებულია და გადაჭრას მოელის. ხოლო საკითხების გამოგონება, როცა ძველი საკითხები გადაჭრილი არ არის, ეს ნიშნავს თავს ვარიდებდეთ ჯარდინალური პრობლემების გადაჭრას. თუ მეტყვიან, რომ ჩემს გამოსვლაში ახალი საკითხები არ წამომიყენებია, მე დავეთანხმები ამას. აქ უადგილო არ იქნება გა-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საუზმე ქალაქ ნიუ-იორკის მერთან რ. ვაგნერთან

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ქალაქ ნიუ-იორკის მერმა რობერტ ვაგნერმა საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად. საუზმეზე იყვნენ თვალსაჩინო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ქალაქის მუნიციპალური ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, სულ ორი ათასზე მეტი კაცი.

დამსწრენი ძლიერი ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ ნ. ს. ხრუშჩოვს. საუზმეზე სიტყვები წარმოთქვეს ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გ. ლოჯმა და ქალაქ ნიუ-იორკის მერმა რ. ვაგნერმა, რომელნიც მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვის ჩამოსვლას ნიუ-იორკში.

ვრცელი საპასუხო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა. ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირს სურს იცხოვროს მშვიდობითა და მეგობრობით ყველა ქვეყანასთან, მიუხედავად ამ სახელმწიფოთა წყობილებისა. მან ამასთან დაკავშირებით ხაზი გაუსვა, თუ რა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას.

დარგაზოგა ა. ჰარიმანთან

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 17 სექტემბერს საღამოს ყოფილმა ელჩმა სსრ კავშირში, მსხვილმა მრეწველმა ა. ჰარიმანმა დარბაზობა გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში მ. ა. მენშიკოვი, ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ბ. ლოჯი, ავიაციის ყოფილი მინისტრი ტ. ფინლეტერი, ჯონ როკფელერი III, „ჩიეზ-მანჰეტენ ბენკის“ თავმჯდომარე დ. მაკლოი, „კინემატოგრაფიის ეროვნული ასოციაციის“ პრეზიდენტი ე. ჯონსტონი, „ფორდის ფონდის“ პრეზიდენტი გ. ჰიღლი, „ინტერნეიშნლ ჯენერალ ელექტრიკ კორპორეიშნის“ პრეზიდენტი უ. რ. ჰეროდი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი გ. კერკი და ამერიკის შეერთებული შტატების საქმიანი წრეების სხვა წარმომადგენლები და საზოგადო მოღვაწეები.

ჰაიდ-პარკში გამგზავრება

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკდესი). დღეს დილის 9 საათზე (16 საათზე მოსკოვის დროით) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ავტომანქანით გაემგზავრა ჰაიდ-პარკში (ნიუ-იორკის შტატი), სადაც ცხოვრობდა ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ფრანკლინ დ. რუზველტი. ნ. ს. ხრუშჩოვი გვირგვინით შეამკობს ფრანკლინ დ. რუზველტის საფლავს და ვიზიტს გაუკეთებს მის ქვრივს ელეონორა რუზველტს.

ნიუ-იორკი. 18 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, მისი მეუღლე ნ. პ. ხრუშჩოვა და მათი თანმხლები პირები ჩავიდნენ ჰაიდ-პარკში.

ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

(დასასრული)

ვიხსენოთ რუსული თქმა: გამეორება სწავლის დედაა. ჩვენ ბეჯითად ვიშრომებთ იმაზე, რომ აღმოვფხვრათ დაბრკოლებანი, რომლებიც ხელს უშლიან ხალხთა დაახლოებას, ჩავაქროთ ნაპერწკლები, რომლებიც ღვივიან და რომლებსაც შეუძლიათ ომის ხანძარი გამოიწვიონ. აუცილებლად საჭიროა ჩავაქროთ ეს ნაპერწკლები, მივაღწიოთ მომწიფებული საკითხების გადაჭრას, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობა ყველა ხალხისათვის.

კითხვა: შეერთებულ შტატებში დიდ ინტერესს იჩენენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნებათა, მათ შორის აგრეთვე ებრაელი მოსახლეობის მდგომარეობისადმი. ხომ ვერ გვეტყვით ამაზე ორიოდე სიტყვას?

ნ. ს. ხრუშჩოვი: საბჭოთა კავშირში ეროვნული საკითხი იმ აზრით, როგორც იგი თქვენში ესმით, არ არსებობს. ყველა ეროვნება მეგობრულად ცხოვრობს, ყველას თანასწორი უფლებები აქვს. ჩვენში ადამიანისადმი დამოკიდებულება არ განისაზღვრება მისი ეროვნებით თუ სარწმუნოებით, რომელსაც იგი აღიარებს. ეს თვითეული ადამიანის სინდისის საქმეა. ჩვენ უწინარეს ყოვლისა ადამიანს ვუყურებთ როგორც ასეთს. ჩვენს ქვეყანაში ყველა ეროვნება — რუსები, უკრაინელები, თურქმენები, უზბეკები, ყაზახები, ბელორუსები, ქართველები, სომხები, ყალმუხები, ებრაელები..., — საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი რომ ჩამოვთვალო, პრეს-კონფერენციისათვის განკუთვნილი დრო არ გვეყოფა, — ყველანი მშვიდობით და თანხმობით ცხოვრობენ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ისეთი მრავალეროვანი სახელმწიფო, როგორიც საბჭოთა კავშირია, მტკიცეა და წარმატებით ვითარდება. ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი ურთიერთს ენდობა და ერთ მწყობრად დარაზმული მიდის საერთო მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ. კერძოდ, ებრაელი მოსახლეობის მდგომარეობა ჩვენში ხასიათდება თუნდაც შემდეგით. იმათ შორის, ვინც შექმნა პირობები იმისათვის, რომ წარმატებით გაგვეშვა რაკეტა მთვარეზე, ღირსეული ადგილი უჭირავთ ებრაელებსაც.

კითხვა: ხშირად იმოწმებენ იმას, რომ ერთ დიპლომატიურ დარბაზობაზე თითქოს გეთქვათ, რომ თქვენ მიწაში დაგვმარხავთ. თუ ეს არ გითქვამთ, იქნებ უარყოთ, ხოლო თუ თქვით, აგვიხსენით, რას გულისხმობდით.

ნ. ს. ხრუშჩოვი: აქ. ამ დარბაზში, ამერიკელთა მხოლოდ მცირე ნაწილაკია. ჩემი სიცოცხლე არ იკმარებდა, აზრად რომ მომსვლოდა თვითეული თქვენგანის დამარხვა. **(სიცილი).** მე მართლაც ვილაპარაკე ამაზე, მაგრამ ჩემი ნათქვამი შეგნებულად დაამახინჯეს. იგულისხმებოდა არა ვისიმე და როდისმე რაღაც ფიზიკური დამარხვა, არამედ საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა საზოგადოების ისტორიულ განვითარებაში. თვითეულმა წიგნიერმა ადამიანმა იცის, რომ ამჟამად მსოფლიოში ერთი საზოგადოებრივი წყობილება როდი არსებობს. სხვადასხვა სახელმწიფოში, სხვადასხვა ხალხებს სხვადასხვა წყობილება აქვთ. საზოგადოების განვითარების კვალობაზე იცვლება საზოგადოებრივი წყობილება. იყო ფეოდალიზმი, იგი კაპიტალიზმმა შეცვალა. კაპიტალიზმი უფრო პროგრესული იყო, ვიდრე ფეოდალიზმი. ფეოდალიზმთან შედარებით, კაპიტალიზმი უკეთეს პირობებს ქმნიდა საწარმოო ძალების განვითარებისათვის. მაგრამ კაპიტალიზმმა წარმოშვა შეურიგებელი წინააღმდეგობანი. თვითეული წყობილება, თავის დროს რომ მოჭამს, თავის მემკვიდრეებს წარმოშობს. კაპიტალიზმს, როგორც მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა, დაამტკიცეს, კომუნიზმი შეცვლის. ჩვენ ეს გვწამს. ბევრ თქვენგანს ეს არა სწამს. მაგრამ თქვენშიც არიან ადამიანები, რომლებსაც სწამთ ეს.

დარბაზობაზე, რომელზეც ლაპარაკია, მე ვთქვი, რომ ისტორიულ განვითარებაში და ისტორიული გაგებით კაპიტალიზმი დასამარებული იქნება, რომ კომუნიზმი შეცვლის კაპიტალიზმს. თქვენ იტყვით, რომ ეს შეუძლებელია. მაგრამ ფეოდალები ხომ ცეცხლში სწვავდნენ ადამიანებს, რომლებიც ფეოდალიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, და მაინც კაპიტალიზმმა გაიმარჯვა. კაპიტალიზმი იბრძვის კომუნიზმის წინააღმდეგ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს კომუნიზმი — საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც ქმნის უკეთეს პირობებს ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის, თავის გამოჩენის შესაძლებლობას აძლევს თვითეულ პიროვნებას, უზრუნველყოფს საზოგადოების სრულ თავისუფლებას, საზოგადოების თვითეული ადამიანის სრულ თავისუფლებას. თქვენ შეგიძლიათ არ დამეთანხმოთ. მე თქვენ არ გეთანხმებით. მაშ რა ვქნათ? საჭიროა თანაარსებობა. თქვენ კაპიტალიზმის პირობებში იცხოვრეთ, ჩვენ კი კომუნიზმს ვაშენებთ. გაიმარჯვებს ახალი, პროგრესული; ძველი, დრომოჭმული მოკვდება. თქვენ მიგაჩნიათ, რომ კაპიტალისტური წყობილება უფრო ნაყოფიერია, რომ იგი უკეთეს პირობებს ქმნის საზოგადოების განვითარებისათვის, რომ იგი გაიმარჯვებს. მაგრამ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მოკლე ისტორია კაპიტალიზმის სასარგებლოდ როდი მეტყველებს. რა ადგილი ეჭირა რუსეთს რევოლუციამდე ეკონომიური განვითარების მხრივ? რუსეთი ჩამორჩენილი, წერაკითხვის უცოდინარი ქვეყანა იყო. ახლა კი ჩვენ მძლავრი ეკონომიკა გვაქვს, ჩვენში დიდად განვითარებულია მეცნიერება, კულტურა.

ზუსტად არ მახსოვს, რამდენ ინჟინერს უშვებენ ჩვენში წელიწადში...

ვ. პ. ელიუტინი: შარშან მომზადებულ იქნა 94 ათასი, წელს კი გამოშვებულია 106 ათასი ინჟინერი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ნ. ს. ხრუშჩოვი: თქვენში ზოგნი ამბობენ, რომ თუ სსრ კავშირში მეტი მეცნიერი იქნება, ჩვენ დავიღუპებით. ჩვენ თანახმა ვართ ასე „დავიღუპოთ“, ვქმნით პირობებს, რომ ჩვენში მეტი მეცნიერი იყოს, რომ ყველა ადამიანი განათლებული იყოს, იმიტომ რომ უამისოდ არ შეიძლება კომუნიზმის შენება. კომუნიზმი მეცნიერებაა.

გმადლობთ ყურადღებისათვის. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დასასრულ პრესის ეროვნული კლუბის თავმჯდომარე უ. ლორენსი კლუბის წევრთა სახელით მადლობას უძღვნის ნ. ს. ხრუშჩოვს გამოსვლისათვის და კითხვებზე პასუხის გაცემისათვის.

სადილი ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად ნიუ-იორკის ეკონომიურ კლუბში

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკადესი). 17 სექტემბერს ნიუ-იორკის ეკონომიური კლუბის წევრებმა სადილი გამართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სასტუმრო უოლდორფ-ასტორიის დიდ დარბაზში ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა. აქ არიან მსხვილი ბანკების, სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების დირექტორები, თვალსაჩინო ეკონომიური მოღვაწეები. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან დარბაზში შემოსულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და მის თანმხლებ პირებს. კლუბის პრეზიდენტმა ჰ. ვუდმანმა ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გააცნო დამსწრეთ.

მან აღნიშნა, რომ ახლა ყველას შეგნებული აქვს ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლის ისტორიული მნიშვნელობა.

სადილზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა გამოთქვა თავისი კმაყოფილება საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან შეხვედრის გამო.

მე ვიცი, შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ საქმიან ადამიანებს სჩვეიათ ილაპარაკონ უდიპლომატიოდ, სავსებით გულახდილად. ამიტომ, დასძინა მან, ნებას მივცემ თავს მთელი პირდაპირობით ვთქვა ის, რაც, შესაძლოა, ზოგ ვინმეს არც მოეწონოს, მაგრამ სამაგიეროდ სასარგებლო იქნება თქვენთვის.

თავის სიტყვაში საბჭოთა მთავრობის მეთაურმა მოიყვანა ციფრები, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების ტემპებს. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ 1913 წლის დონესთან შედარებით წარმოება საბჭოთა კავშირში გაიზარდა 36-ჯერ, ამერიკის შეერთებულ შტატებში კი — მხოლოდ 4-ჯერ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირში შემუშავებულია და უკვე ხორციელდება სახალხო მეურნეობის განვითარების გიგანტური შვიდწლიანი გეგმა და მოიყვანა 1959 წლის — შვიდწლეული პირველი წლის — გეგმის შესრულების ზოგიერთი ციფრი. ფაქტიურად ამ წლის პირველ რვა თვეში, თქვა მან, ჩვენ 12 პროცენტით გავადიდეთ პროდუქციის გამოშვება ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7,7 პროცენტისა. ეტყობა, წელიწადში გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 10 მილიარდ დოლარისაზე მეტ პროდუქციას. მაშასადამე, დასასკვნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, ჩვენ არა მარტო არ დაგვიგეგმავს ეკონომიკის განვითარების რაიმე შეუძლებელი ტემპი, არამედ, პირიქით, შეღავათიანი პირობები დავაწესეთ მრეწველობისათვის, რათა ზედმეტად არ დაგვეძაბა ეკონომიკა.

ჩვენ შეგვძლებთ უფრო სწრაფად დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ეკონომიკის განვითარებაში მოცულობით, შემდეგ კი ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე ეს დასახულია ჩვენი გეგმებით, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

თავისი სიტყვის შემდგომი ნაწილი ნ. ს. ხრუშჩოვმა მიუძღვნა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ასპექტებს. ჩვენ, თქვა მან, ვიბრძოდით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებისათვის ყოველთვის, მას შემდეგ,რაც წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფო. ჩვენ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ვხელმძღვანელობთ იმავე წესით, რომლითაც ხელმძღვანელობს თქვენი ქვეყნის ბევრი ადამიანიც, თუ დავიჯერებთ დევიზს, რომელიც აღებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში ამას წინათ გამოშვებულ საფოსტო მარკაზე: „მშვიდობა მთელ მსოფლიოში საერთაშორისო ვაჭრობის საშუალებით“.

მინდა ხაზი გავუსვა, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ საბჭოთა მთავრობა ყოველთვის იცავდა და დაიცავს თანასწორუფლებიან, ურთიერთ ხელსაყრელ საერთაშორისო ვაჭრობას, რომელშიც არ იქნება რაიმე დისკრიმინაცია. ვაჭრობაში ყოველგვარი შემზღუდველი სიების დაწესება ის არის, რის წინააღმდეგაც ჩვენ ვიბრძვით და კვლავაც ვიბრძოლებთ როგორც უგუნური აქციის წინააღმდეგ. მაშ მოდით გავწმინდოთ გზა ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის უზრუნველყოფისათვის ყველა ქვეყანას შორის, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შემდეგ აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი თანასწორუფლებიან ვაჭრობას აწარმოებს ბევრ ქვეყანასთან. არცთუ ცუდად მყარდება სავაჭრო ურთიერთობა ინგლისთან. ვითარდება ვაჭრობა დასავლეთ გერმანიის საქმიან ადამიანებთან. უნდა აღინიშნოს, დასძინა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომ დასავლეთ გერმანიის მთავრობასაც ამ საკითხში სწორად ესმის თავისი სახელმწიფოს ინტერესები და კი არ აბრკოლებს, არამედ ხელს უწყობს სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას. ჩვენ მივესალმებით ამას. იტალიასთან კარგი ეკონომიური ურთიერთობა მყარდება. საფრანგეთთან არცთუ ცუდი ურთიერთობა გვაქვს. რატომ უნდა იყოს ამერიკა განზე გამდგარი?

თუმცაღა, ეს თქვენი საქმეა, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა. ვაჭრობის საკითხი სარგებლიანობის საკითხია. თუ თქვენთვის ხელსაყრელი არ არის იყიდოთ ჩვენგან ან მოგვყიდოთ რაიმე საქონელი, მოიქეცით ისე, როგორც საჭიროდ მიგაჩნიათ.

კანონს სსრ კავშირთან ვაჭრობის აკრძალვის შესახებ, რომელიც მიიღეს შეერთებულ შტატებში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული რევრესიის სახით, მოჰყვა იმის პირდაპირ საწინააღმდეგო შედეგები, რომლებსაც ამ კანონის ავტორები ვარაუდობდნენ. თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა. შეხედეთ, დასძინა მან, თუ რა უდიდესი წარმატებებია მოპოვებული ჩვენს ეკონომიკაში ამ ათი წლის მანძილზე. საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის ხელოვნურმა შებოჭვამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ წინანდელზე უფრო სუსტი კი არა, უფრო ძლიერი გავხდით.

ნ. ს. ხრუშჩოვმა განაცხადა: ჩვენ თქვენზე ადრე გამოვიცანით წყალბადის ენერგიის გამოყენების საიდუმლოება. თქვენზე ადრე შევქმენით ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო რაკეტა, რომელიც თქვენ ფაქტიურად დღემდე არა გაქვთ. ბალისტიკური საკონტინენტთაშორისო რაკეტა კი — ეს ხომ ჭეშმარიტად ადამიანის შემოქმედების აზრის შენადეადია.

ამერიკის შეერთებული შტატები ვაჭრობაში საბჭოთა კავშირის დისკრიმინაციის პოლიტიკას რომ განაგრძობენ, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, ეს მხოლოდ უაზრო ჯიუტობას ნიშნავს.

ჩვენ გთავაზობთ ეკონომიურ შეჯიბრებას, განაცხადა ნ. ს. ხრუშჩოვმა. შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ საბჭოთა კავშირი გაიტანს თავისას ამ ეკონომიურ შეჯიბრებაში: დაგეწევათ და გასწრებთ.

აქვე უნდა ითქვას, შენიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, შეჯიბრება, როგორც ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვესმის და როგორც ვახორციელებთ მას, სრულებითაც არ გამორიცხავს თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას, და ჩვენ მზად ვართ გავავრცელოთ ეს წესი ამერიკის შეერთებულ შტატებზეც, თუ თქვენ თანახმა იქნებით.

ჩვენსა და თქვენს ეკონომიურ წარმატებებს, აღნიშნა შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა, მიესალმება მთელი მსოფლიო, რომელიც მოელის, რომ ჩვენი ორი დიდი სახელმწიფო დაეხმარება იმ ხალხებს, რომლებიც საუკუნეებით ჩამორჩნენ. თავიანთ ეკონომიურ განვითარებაში, უფრო მალე დადგნენ ფეხზე. საბჭოთა კავშირის პოზიცია ამ საკითხში ნათელია. თუმცა ჩვენ ქვეყანას ერთი მანეთიც კი არ უშოვნია სხვისი ბუნებრივი რესურსებისა და სხვისი შრომის ექსპლოატაციით, მაგრამ ჩვენ მზად ვართ კვლავაც გავუწიოთ დახმარება აზიისა და აფრიკის ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

ჩვენი ჩამოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში და პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მომავალი ვიზიტი საბჭოთა კავშირში, აღნიშნა ნ. ს. ხრუშჩოვმა, შესაძლებლობას მოგვცემს, როგორც ჩვენ გვინდა ვიმედოვნებდეთ, მოვაწყოთ აზრთა გულახდილი გაზიარება ყველა ფასიანი ლექციების ბაზაზე, და გააადვილებს ჩვენს შორის შეთანხმების მიღწევას.

ბატონებო, თქვა ნ. ს. ხრუშჩოვმა, თქვენს ხელში საკმაოდ ბევრი შესაძლებლობაა. თქვენ გავლენიანი ადამიანები ხართ. ამიტომ მოგმართავთ დღეს თქვენ და მინდა გამოვთქვა იმედი, რომ შეერთებული შტატების ბიზნესმენები გამოიყენებენ თავიანთ გავლენას სწორი მიმართულებით და მხარს დაუჭერენ მშვიდობიან თანაარსებობასა და შეჯიბრებას ჩვენს შორის, ისევე როგორც ამას უკვე შვრება ზოგი ვინმე თქვენ ეკონომიკის გამოჩენილ წარმომადგენელთაგან.

დასასრულ ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა საქმიანი წრეების წარმომადგენელთა მთელ რიგ შეკითხვებზე.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა და შეკითხვებზე მისი პასუხი დამსწრეებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს და მრავალგზის შეაწყვეტინეს ტაშით. სიტყვამ და შეკითხვებზე გაცემულმა პასუხმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკის საქმიანი წრეების წარმომადგენლებზე.

პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერის პრესკონფერენცია

ვაშინგტონი, 17 სექტემბერი. (საკადესი). დღევანდელ პრესკონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა პასუხი გასცა ჟურნალისტების კითხვებზე და გამოთქვა აზრი, რომ მას, ისევე როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს, მიაჩნია, რომ ახალი დიდი ომი უგუნურება იქნება. ეს აზრი, თქვა პრეზიდენტმა, ყოველგვარი სიბრძნის საფუძველია.

პრეზიდენტი შეეხო უთანხმოებას, რომელიც არსებობს შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მთავრობებს შორის და განაცხადა, ჯერ კიდევ შესაძლებელია სერიოზული გაუგებრობანი. ბევრი რამ, თქვა მან, დამოკიდებულია ორივე ქვეყნის ხალხებზე.

სხვა კითხვების პასუხად პრეზიდენტმა თქვა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის პოზიცია მისი ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოფნის დროს განსაკუთრებით მეგობრული. ნ. ს. ხრუშჩოვის მთელი პოზიცია და თავის დაჭერის მანერა მოწმობენ, რომ იგი შეთანხმებას ესწრაფვის, განაცხადა ეიზენჰაუერმა.

პრეზიდენტ ეიზენჰაუერს შეეკითხნენ, შეეხებით თუ არა ნ. ს. ხრუშჩოვთან საუბრის დროს ლაოსისა და ბერლინის პრობლემებსო. პრეზიდენტმა უპასუხა, ვერ გამოგიგია, რატომ უნდა შევკრებილიყავით მე და ხრუშჩოვი, თუ ბერლინზე არ ვისაუბრებთო.

დ. ეიზენჰაუერი შეეხო ცნობებს იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ეიზენჰაუერი და ნ. ს. ხრუშჩოვი განიხილავენ სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი დახმარების ერთობლივ გეგმას და განაცხადა, რომ სანამ არ იქნება რაიმე შეთანხმება, რომელიც დაძლევს უთანხმოებას შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს ვერ სთხოვენ საბჭოთა კავშირს მიიღოს მონაწილეობა ასეთ პროექტში.

პრეზიდენტს შეეკითხნენ, ისე ხომ არ მოხდება, რომ მილიონობით ამერიკელი, რაკი დაინახავს ნ. ს. ხრუშჩოვის მეგობრულობასა და გულთადობას ტელევიზორთა ეკრანებზე, „ფსიქოლოგიურად განიარაღებული“ აღმოჩნდებიან. ამაზე პრეზიდენტმა მოიყვანა თეორია, რომლის თანახმად სახელმწიფო წყობის ამერიკულ სისტემას საფუძვლად უდევს ყოველი ადამიანის უფლება — გამოთქვაო ისეთი აზრი, რომელიც მოსწონს. მან თქვა, ჩემი აზრით, ამერიკელი ხალხი საკმაოდ ძლიერია და შეძლებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებანი მიიღოსო.

ერთ-ერთმა კორესპონდენტმა სთხოვა პრეზიდენტს გაემეორებინა თავისი საკუთარი თვალსაზრისი განიარაღების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი აპირებს განიარაღების შესახებ წინადადება შეიტანოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ამის პასუხად ეიზენჰაუერმა გამოთქვა რწმენა, რომ ურთიერთი საყოველთაო განიარაღება მთელი მსოფლიოს იმის ერთადერთი დიადი იმედია, რომ მშვიდობით იცხოვროს. მან კვლავ გაუსვა ხაზი თავის აზრს, რომ ვერც ერთი წინადადება განიარაღების შესახებ ვერ ჩაითვლება ისეთ წინადადებად, რომლის განხორციელება შესაძლებელია, თუ არ შეიცავს პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შესრულებას, და თუ არ ითვალისწინებს ისეთ ღონისძიებებს, რომელთა მეოხებითაც ყველა დარწმუნებული იქნება, რომ შეთანხმება სრულდება. ამ ფარგლებში, თქვა პრეზიდენტმა, შეერთებული შტატები არ აპირებენ დასახონ რაიმე განსაკუთრებული პირობები.

პრეზიდენტმა ილაპარაკა, თუ რა აზრები აღეძრა მას, როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა გადასცა პირი ალმისა, რომელიც საბჭოთა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა და განაცხადა, მე მიმაჩნია, რომ ალმი ფრიად საინტერესოა.

პასუხად შეკითხვისა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერს ალმის ბაგეზე, რომელიც ეხება მის გეგმებს ალეირის შესახებ, ეიზენჰაუერმა თქვა, ეს კონსტრუქციული და შორს გამიზნული გეგმაა და შეერთებულ შტატებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ მას.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 18 სექტემბერი. (საკადესი). 17 სექტემბერს ნიუ-იორკის ეკონომიური კლუბის წევრებმა სადილი გამართეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად.

სასტუმრო უოლდორფ-ასტორიის დიდ დარბაზში ორი ათასამდე კაცი შეიკრიბა. აქ არიან მსხვილი ბანკების, სავაჭრო და სამრეწველო კომპანიების დირექტორები, თვალსაჩინო ეკონომიური მოღვაწეები. დამსწრენი ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან დარბაზში შემოსულ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს და მის თანმხლებ პირებს. კლუბის პრეზიდენტმა ჰ. ვუდმანმა ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები გააცნო დამსწრეთ.

მან აღნიშნა, რომ ახლა ყველას შეგნებული აქვს ნ. ს. ხრუშჩოვსა და დ. ეიზენჰაუერს შორის ვიზიტების გაცვლის ისტორიული მნიშვნელობა.

სადილზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

შევიჯანოთ ცოდნა მასებში

კოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობის შესახებ

ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივ იდეურ ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ სრულიად საკავშირო საზოგადოებას — მოწინავე საბჭოთა ინტელიგენციის მახვილგონივრულ ორგანიზაციას.

სრულიად საკავშირო საზოგადოება მოწოდებულია დახმარებას უწევდეს პარტიას საბჭოთა ადამიანების კომუნისტურ აღზრდაში, მათი იდეური დონისა და შრომითი აქტივობის ამაღლებაში, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ჩამოყალიბებაში. ეს მუშაობა უნდა წარმოებდეს მშრომელთათვის კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის, განსაკუთრებით XXI ყრილობის მასალებისა და პარტიის მიერ უკანასკნელ ხანს შემუშავებული სხვა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების ღრმა ახსნა-განმარტების საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გაფართოებული მშენებლობის პერიოდი ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნის მშრომელთა შორის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის პროპაგანდისათვის.

საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებაში არიან გაერთიანებულნი, მოწოდებული არიან რაც შეიძლება უფრო სრულად დაეკმაყოფილონ მშრომელთა ბუნებრივი ლტოლვა ცოდნისაკენ, დაეხმარონ მათ სწორად გაიგონ მოვლენათა არსი, საბჭოთა კავშირის ძალიხა და ძლიერების წყაროები, როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში მისი ესოდენ თვალსაჩინო წარმატებების მიზეზები.

იმ ლექციური პროპაგანდის შინაარსს, რომელსაც საკავშირო საზოგადოება ახორციელებს, უნდა შეადგენდეს:

— საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში — მეცნიერული კომუნიზმის დიადი იდეების, საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის — კომუნისტური პარტიის როლის, სკკპ XXI ყრილობის მიერ დამუშავებული თეორიული პრობლემების პროპაგანდა. შვიდწლიანი გეგმის ამოცანების განმარტება, საბჭოთა პატრიოტიზმის, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების, საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის იდეების პროპაგანდა;

— საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში — ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკისა და სხვა მეცნიერებათა უახლესი მიღწევების პოპულარიზაცია იმ მიზნით, რომ ეს მიღწევები გამოყენებულ იქნას საბჭოთა ადამიანების შრომითს საქმიანობაში, მათთვის მატერიალისტური მსოფლგაგების ჩანერგვაში, რელიგიური იდეოლოგიური მხილება;

— ტექნიკურ მეცნიერებათა დარგში — ტექნიკური პროგრესის საკითხებზე პარტიის XXI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1959 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდის გაშლა, მოწინავე გამოცდილების გავრცელება, მუშათა, კოლმეურნეთა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ტექნიკური ცოდნისა და საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლება, მშრომელთათვის მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ტექნოლოგიის უახლესი მიღწევების ხისტემატური ეკონომია;

— სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგში — მიჩიურინული აგრობიოლოგიის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელება, მოწინავე გამოცდილების დანერგვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

პოლიტიკურ და მეცნიერულ ცოდნას რომ უწევენ პროპაგანდას, საზოგადოების ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა დასძლიონ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანებისაგან ლექციების ჯერ კიდევ არსებული მოწყვეტა. სიტყვიერ და ბეჭდვითს გამოსვლებში მუდამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხალხის მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლება, კომუნისტური იდეალების განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე. სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განუხრელი აღმავლობის საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ, რომ ყველა მშრომელზე ვრცელდებოდეს კოლიტიკური გავლენა. საზოგადოება მხოლოდ იმ პირობით შეძლებს შეასრულოს თავისი როლი ამ დიდი ამოცანის განხორციელებაში, თუ იგი აქტიურ მუშაობაში ჩაებამს ინტელიგენციის უფართოეს ფენებს — მეცნიერებს, კულტურის მოღვაწეებს, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების თანამშრომლებს, უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებლებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, პედაგოგებს, ექიმებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, წარმოების მოწინავეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს — ყველას, ვისაც უნარი შესწევს შეასრულოს საპატიო და კეთილშობილური მისია: შეიტანოს ცოდნა მასებში!

შეუძლიათ თუ არა საკავშირო საზოგადოებას და მის ადგილობრივ ორგანიზაციებს თავი გაართვან ამ დიდ ამოცანებს, კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საზოგადოების მუშაობა აყვანილ იქნას ახალ, უფრო მაღალ დონეზე?

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი სრულიად საკავშირო საზოგადოება, რომელიც 1947 წელს ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების, მწერლების, ხელოვნების მუშაკების ინიციატივით შეიქმნა, გადაიქცა მასობრივ ორგანიზაციად, რომელშიც ამჟამად 800 ათასზე მეტი წევრი ითვლება. ლექციური პროპაგანდა, რომელსაც საზოგადოება ახორციელებს, წლითიწლობით ფართოვდება. მარტო 1958 წელს საზოგადოების წევრებმა წაიკითხეს 5 მილიონ 600 ათასი ლექცია. თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ ლექციების მოწყობის დიდი გამოცდილება შეიძინა. დადებითს როლს ასრულებენ საზოგადოების წევრთა ჯგუფები, რომლებიც შექმნილია მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, სამეცნიერო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში. გაფართოვდა საზოგადოების საგამომცემლო საქმიანობა.

საკავშირო საზოგადოებას, რომელიც სძღვევს ნაკლოვანებებს, სავსებით შესწევს უნარი წარმატებით დაეხმაროს მშრომელთა შორის ცოდნის გავრცელების ახალი რთული ამოცანები. მაგრამ საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ მომავალში საზოგადოების როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციის მნიშვნელობა მშრომელთა პოლიტიკურ და კულტურულ აღზრდაში კიდევ უფრო ამაღლდება. დასახული ამოცანების სიმაღლეზე რომ აღმოჩნდნენ, საზოგადოებამ და მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციებმა რაც შეიძლება მალე უნდა აღმოფხვრან ხერიოზული ნაკლოვანებანი მუშაობაში, რომლებიც საზოგადოების საქმიანობას ბრკოლებენ.

საზოგადოების საქმიანობაში არსებითი ნაკლია ის, რომ უკანასკნელ წლებში მან, სამწუხაროდ, თანდათან და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდწლიანის ფურცლებიდან

ვალენტინა გაგანოვას მაგალითით

მთების გულში

ერთი თვე გავიდა, რაც ახალ ბრიგადაში ვმუშაობ. პირველ დღეებში, რა თქმა უნდა, გამიჭირდა. ბრიგადაში მოწესრიგებული არ იყო შრომა. მოსუსტებდა საწარმოო დისციპლინა, მეშახტეები უგულოდ ეკიდებოდნენ საქმეს, არ აღელვებდათ ჩამორჩენა.

საიდან დავიწყო, რას მივაქცევ მთავარი ყურადღება? ასეთი კითხვები წამოიჭრა ჩემს წინაშე.

— უწინარეს ყოვლისა დისციპლინა განამტკიცე, — მითხრეს შახტის ხელმძღვანელებმა. — ჩვენ ამ საქმეში მხარს დაგიჭერთ. თუ ბრიგადის რომელიმე წევრის საქციელი არ მოგეწონება, გვითხარი, მას შენს ბრიგადას არ გაეკაკრებთ. ორი გამცდენი მეშახტის ვ. კომბლაძისა და გ. ბოჟორიშვილის განთავისუფლება უკვე გადავწყვიტეთ. ეს ღონისძიება, ცხადია, განამტკიცებს დისციპლინას, გაგიადვილებს ბრიგადის დანარჩენ წევრებთან მუშაობას.

ამ სიტყვებმა ჩამაფიქრა. ბრიგადის წევრებს ვ. კომბლაძე და გ. ბოჟორიშვილი მართლაც უხეშად არღვევდნენ შრომის დისციპლინას. პირველმა ივნისში უმიზეზოდ გააცდინა ოთხი დღე. ივლისში — სამი დღე, მეორე კი ივნის-ივლისში ექვს დღეს არ გაჰკარებია ბრიგადას.

ღირდა ამ დანაშაულისათვის ბრიგადიდან ორი ჯანღონით სავსე ახალგაზრდის გაძევება? ასეთი მკაცრი ღონისძიება საჭიროდ არ ჩავთვალე, რამდენჯერმე ვესაუბრე კომბლაძესა და ბოჟორიშვილს. გამოირკვა, რომ ორივეს ქვანახშირის მონგრევის დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდა. ისინი დაბალი გამომუშავების გამო აცდენდნენ სამუშაოს.

— ამხანაგო ამბროსი! ალარ შემიძლია, მომწყინდა ქვანახშირის მტვირთავად მუშაობა, გთხოვთ გამიშვათ მნგრეველად, — მომმართა ია შესხორაძემ. მასთან საუბარში გამოირკვა, რომ ყოფილი ბრიგადირი ი. მესხორაძეს სანგრევს არ ანდობდა, ყოველთვის მეორეხარისხოვან სამუშაოს აკალებდნენ. ამაყი ახალგაზრდა ამას თაკილობდა. მართალია მუშაობდა, მაგრამ უგულოდ, უხალისოდ.

გადავწყვიტე მასთან ერთად წავსულიყავი ლავში სამუშაოდ. ასეც მოვიქეცი. ი. მესხორაძემ მნგრეველის პროფესიის სიუკეთესო ცოდნა გამოამეღავნა. ორივემ ცვლაში დიდძალი ქვანახშირი მოვახგრიეთ. ახლა კი იგი დამოუკიდებლად მუშაობს ლავში. ახლა ბრიგადაში ერთი გამცდენიც არ არის.

ბრიგადაში დისციპლინის განმტკიცების შემდეგ წარმოების „ვიწრო ადგილების“ გამოსწორებას შევუდექი. ქვემო ჰორიზონტის ქვანახშირის სატვირთავ პუნქტთან ცარიელი საშახტო ვაგონეტების მიგორებას და დატვირთულების გაგორებას ხელით ახდენდნენ. ეს მოითხოვდა ზედმეტ მუშახელს, ამასთან გვიანდებოდა ვაგონების დატვირთვა.

ჩემი წინადადებით სატვირთავ პუნქტში მძლავრი ჯალამბარი დაიდგა. ამან დაჩქარა საშახტო ვაგონეტების ბრუნვა, გაუმჯობესა ტრანსპორტის მუშაობა.

ბრიგადას სათადარიგო იარაღები არ ჰქონდა. ელექტრობურღის გაფუჭების შემთხვევაში მნგრეველი იძულებული იყო მიწის ზედაპირზე ამოსულიყო და შეეცვალა ან შეეკეთებინა იგი. ეს კი დიდ დროს მოითხოვდა, სანგრევში მუშაობა ჩერდებოდა, ბრიგადის წევრები ცდებოდნენ. ჩვენი მოთხოვნით შახტის ხელმძღვანელებმა უბანს სათადარიგო ელექტრობურღი მისცეს. ახლა ელექტრობურღის მწყობრიდან გამოსვლის დროს მეშახტეები არ ფერხდებიან.

ერთხელ შევნიშნე, რომ მნგრეველები ლავში მოკლე, 110 სანტიმეტრის სიგრძის შპურებს ბურღავდნენ. როცა გკითხე, რატომ იქცეოდნენ ასე, ერთ-ერთმა მხგრეველმა მიპასუხა: „ჩვენი ლავის ჭერი სუსტია, გვეშინია სახურავის დიდ მანძილზე გაშიშვლება“.

ამ საკითხმა დიდად დამინტერესა. გულდასმით შევისწავლე ქვანახშირის ფენის წოლვის ფორმები, მისი დახრა, სიმაგრე, ბზარიანობა. აღმოჩნდა რომ ეს ფენა ტექნიკური მონაცემებით თითქმის არ განსხვავდებოდა სტალინის სახელობის შახტის იმ ფენისაგან, რომელშიც ჩემი ყოფილი ბრიგადა გრძელ შპურებს ბურღავდა ხოლმე. მე უარვყავი მოკლე შპურებით მუშაობის აქ მიღებული მეთოდი და გადავედი გრძელი შპურებით ბურღვაზე. ამან საუკეთესო შედეგი გამოიღო. სულ მცირე 15 პროცენტით გაიზარდა ბრიგადის შრომის ნაყოფიერება.

ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე უბანი, რომელიც დიდხანს ჩამორჩებოდა, გარღვევიდან გამოვიდა. აგვისტოში უბნის კოლექტივმა გააძლიერა მუშაობის ტემპი და დავალების გადამეტებით ერთი ეშელონი ქვანახშირი ამოიღო.

ჩემმა კომპლექსურმა ბრიგადამ ერთი თვის მანძილზე გეგმის გადამეტებით 1.203 ტონა ქვანახშირი ამოიღო. ამჟამად კი ბრიგადის თვითეული წევრი ცვლაში ნორმას გადამეტებით 3,5-4 ტონა ქვანახშირს იძლევა.

ა. ბაკურაძე,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის მესამე უბნის კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი.

ხურათზე: ა. ბაკურაძე.

ბაღებისხვეული გაგანოვეღები

ბევრჯერ ყოფილა ცხარე მსჯელობის საგანი სოფელ ბალებისხევის (თიანეთის რაიონი) კოლმეურნეობაში მეღორეობისა და მეფრინველეობის ფერმების ჩამორჩენის საკითხი. პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაც არაერთხელ შეხებია ჩამორჩენის მიზეზებს. მაგრამ შედეგი მაინც არასახარბიელო იყო.

ვალენტინა გაგანოვას ძვირფასი თაოსნობის მაგალითმა ახალი ვითარება შექმნა. ბევრი კოლმეურნე იმ აზრისა იყო, რომ ფერმები ზარალიანია და გაუქმდესო. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვენერა სიხარულიძე ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ეძებდა. არა, შეუძლებელია, ეს საქმე არ გამოსწორდეს, ამის შესაძლებლობა ჩვენ გვაქვს, მაგრამ ჯერ ვერ გვიპოვნია, მტკიცედ დაასკვნა ვენერამ. ერთ-ერთ კრებაზე ორი მხარეჭიანი ჭაბუკი ივანე დიდებაშვილი და შალვა ცოლიკაური ერთდროულად წამოდგა ფეხზე და სიტყვა მოითხოვა. მათ სურვილი გამოთქვეს სამუშაოდ გაეგზავნათ ჩამორჩენილ ფერმებში. საერთო კრებამ უყოყმანოდ დააკმაყოფილა ჭაბუკების სურვილი.

ივანე დიდებაშვილმა, რომელიც მეღორეობის ფერმას ჩაუდგა სათავეში, დაწვრილებით შეისწავლა ფერმის ჩამორჩენის მიზეზები და გამგეობის დახმარებით გადამჭრელი ზომები მიიღო ჩამორჩენის დასაძლევად. სულ მალე მდგომარეობა გამოსწორდა. 62 სული ღორის ნაცვლად ახლა ფერმაში ჰყავთ 160 სული. მთლიანად შენარჩუნებულია ნამატი. ოქტომბრისათვის წლიური გეგმა მას გადაჭარბებით ექნება შესრულებული და, რაც მთავარია, ბოლო მოეღო ღორების სიკვდილიანობას. სახელმწიფოსათვის ჩასაბარებლად კოლმეურნეობა ამჟამად 30 ღორს ასუქებს.

დიდებაშვილს მხარში უდგას და თავდადებით მუშაობს ახალგაზრდა მწყემსი თენგიზ არაბული.

სამარცხვინო მდგომარეობას დაალწია თავი მეფრინველეობის ფერმამ, როცა აქ სამუშაოდ მოვიდა შალვა ჭოლიკაური. არის პირველი კარგი შედეგები. წელს საინკუბატორო 4-დგეგრიდან შემოყვანილი 2 ათასი წიწილიდან შენარჩუნებულია 1.960 წიწილა. კარგი მოვლისა და კვების შედეგად გაძლიერდა ქათმების კვერცხმდებლობა. თვითეულზე მიღებულია 60 ცალი კვერცხი ნაცვლად შარშან მთელი წლის განმავლობაში მიღებული 13 ცალი კვერცხისა.

სასახელოდ შრომობს ფერმაში მომგლელი მარინე გედეხაური, რომელსაც აქ მოსვლამდე კოლმეურნეობაში მოწინავე მწველავის სახელი ჰქონდა მოპოვებული.

ბარაქალა თქვენს საქმიანობას, ბალებისხეველო გაგანოველებო!

ი. ბეჟანიშვილი.

მშრომელთა საკეთილდღეოდ

პირველი ავანსი

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება შრომადღის როგორც ფულადი, ისე ნატურალური ანაზღაურება. შარშან აქ შრომადღეზე გასცეს 3 კილოგრამი სიმინდი მარცვლად და 31 მანეთზე მეტი ფულად.

წელს ამ კოლმეურნეობათა წევრებმა თითო შრომადღეზე უკვე მიიღეს ავანსად 20 მანეთი.

ავანსირების ახალ წესზე გადასვლამ შესამჩნევად გააძლიერა კოლმეურნეთა დაინტერესება. წარმატებით სრულდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო დავალებანი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმა ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა. ამჟამად იგი გეგმის ზევით კრეფს ჩაის ფოთოლს.

ღ. ჯოლოხავა.

ავტომოგილის მფლობელთა

ქუთაისი. (საკ. კორ). საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბის ტერიტორიაზე გაიხსნა ორსართულიანი სასადილო-კომბინატი, რომელიც ყველაზე დიდია ქალაქში. იგი ერთდროულად 250 კაცს ემსახურება. სასადილოს აქვს კაფე, დიეტური განყოფილება, ფულის გადახდის ხაზი. აქვე ამუშავდა ნახევარფაბრიკატების წარმოება. იგი ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს როგორც ქარხნის, ისე ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. სასადილოსთან მიმდებარე აგრეთვე საკონდიტრო საწარმო და ნახევარფაბრიკატების სარეალიზაციო მაღაზია.

სასადილო-კომბინატს აქვს ლიფტი, აღჭურვილია მაცივრებითა და უახლესი ელექტროინვენტარით დანადგარებით.

ავტომოგილის მფლობელთა

ინტერვიუ

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება შრომადღის როგორც ფულადი, ისე ნატურალური ანაზღაურება. შარშან აქ შრომადღეზე გასცეს 3 კილოგრამი სიმინდი მარცვლად და 31 მანეთზე მეტი ფულადი.

წელს ამ კოლმეურნეობათა წევრებმა თითო შრომადღეზე უკვე მიიღეს ავანსად 20 მანეთი.

ავანსირების ახალ წესზე გადასვლამ შესამჩნევად გააძლიერა კოლმეურნეთა დაინტერესება. წარმატებით სრულდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო დავალებანი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმა ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა. ამჟამად იგი გეგმის ზევით კრეფს ჩაის ფოთოლს.

ღ. ჯოლოხავა.

ავტომოგილის მფლობელთა

ინტერვიუ

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმის ლენინის სახელობის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად იზრდება შრომადღის როგორც ფულადი, ისე ნატურალური ანაზღაურება. შარშან აქ შრომადღეზე გასცეს 3 კილოგრამი სიმინდი მარცვლად და 31 მანეთზე მეტი ფულადი.

წელს ამ კოლმეურნეობათა წევრებმა თითო შრომადღეზე უკვე მიიღეს ავანსად 20 მანეთი.

ავანსირების ახალ წესზე გადასვლამ შესამჩნევად გააძლიერა კოლმეურნეთა დაინტერესება. წარმატებით სრულდება ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო დავალებანი. ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის გეგმა ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ გადაჭარბებით შეასრულა. ამჟამად იგი გეგმის ზევით კრეფს ჩაის ფოთოლს.

ღ. ჯოლოხავა.

ავტომოგილის

მფლობელთა

ქუთაისი. (საკ. კორ). საავტომობილო ქარხნის მუშათა დაბის ტერიტორიაზე გაიხსნა ორსართულიანი სასადილო-კომბინატი, რომელიც ყველაზე დიდია ქალაქში. იგი ერთდროულად 250 კაცს ემსახურება. სასადილოს აქვს კაფე, დიეტური განყოფილება, ფულის გადახდის ხაზი. აქვე ამუშავდა ნახევარფაბრიკატების წარმოება. იგი ხორცის, თევზისა და ბოსტნეულის ნახევარფაბრიკატებით ამარაგებს როგორც ქარხნის, ისე ქალაქის საზოგადოებრივი კვების ობიექტებს. სასადილოსთან მიმდებარე აგრეთვე საკონდიტრო საწარმო და ნახევარფაბრიკატების სარეალიზაციო მაღაზია.

სასადილო-კომბინატს აქვს ლიფტი, აღჭურვილია მაცივრებითა და უახლესი ელექტროინვენტარით დანადგარებით.

«წინ სიყვარულია»

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ იღებს გრ. ჩიქოვანის მოთხრობის „სიყვარულის“ მიხედვით ი. კროტკოვის მიერ დაწერილ სცენარს, რომელსაც „წინ სიყვარულია“ ეწოდება.

გადამღები ჯგუფი ამჟამად მუშაობს დუშეთის რაიონის სოფელ არანისში. ფილმს დგამს რეჟისორი კ. პიპინაშვილი, ოპერატორია გ. ჭელიძე, მუსიკა ეკუთვნის კომპოზიტორ ა. მაკვარიანს.

ფილმში მონაწილეობენ სსრკ სახალხო არტისტი აკაკი ხორავა, ლეილა აბაშიძე, დუდუხანა წეროძე, ირაკლი უჩანეიშვილი, ოთარ ხატაშვილი და სხვ.

სურათზე: ლეილა აბაშიძე მზიას როლში.

ფილმი ჯუნგლიას მკვიდრებზე

სოხუმი, 9 სექტემბერი. (საქდესი). „ცდა გაუმარჯვდათ“ — ასე ეწოდება პირობითად მეცნიერულ-პოპულარულ ფილმს, რომელსაც იღებენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტის ვოლიერებსა და ლაბორატორიებში.

სცენარის ავტორებმა ა. გელოვანმა და ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ე. ჩერკოვიჩმა გასწიეს დიდი და მნიშვნელოვანი მუშაობა, იმ საქმიანობის გადმოსაცემად რომელსაც ასრულებენ მეცნიერები ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის ბრძოლის საშუალებებისა და ხერხების გამოვლინების დარგში.

ფილმის „გმირებს“ შორის არის ორი საცდელი მაიმუნი „ბოჰემა“ და „ზევსი“. ამ მაიმუნებზე მეცნიერებმა აწარმოეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ცდები, რომლებმაც ძვირფასი მასალები მისცა მათ პრაქტიკული მედიცინისათვის.

ფილმს იღებენ რეჟისორები დ. აბაშიძე და ნ. ჟუჟუნაძე, ოპერატორია ო. დეკანოსიძე, სურათის მეცნიერი კონსულტანტები არიან პროფესორი ნ. ლაგუტინი და ნ. მაიმუნების სანაშენეს გამგე ი. კონდაკოვი.

გრინჯაოს მედალი ფ. ლაპიაშვილს

ბრიუსელის მსოფლიო გამოფენაზე თეატრალური დეკორაციების დიდძალი მაკეტები, ესკიზები იყო წარდგენილი სხვადასხვა ქვეყნიდან. მოსკოვის ბახრუშინის სახელობის თეატრალურმა მუზეუმმა წარადგინა სტალინური პრემიის ლაურეატის ფ. ლაპიაშვილის ნამუშევარიც — დ. თორაძის ბალეტის „გორდას“ მაკეტი.

ფ. ლაპიაშვილის მხატვრობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. 16 სექტემბერს მას გადაეცა ბრიუსელის გამოფენის ბრინჯაოს მედალი. ეს ქართველი მხატვრის დიდი გამარჯვებაა.

ლიტერატურული ხელოვნება

თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლებისათვის

10 სექტემბერს თავისი რეპერტუარის საუკეთესო სპექტაკლით — ს. მანველიანის „ბაღების სიმღერით“, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი დროის ჰეროიკაზე, თბილისის სტ. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის სახელმწიფო თეატრმა გახსნა თავისი 102-ე თეატრალური სეზონი.

თეატრის კოლექტივმა წარმატებით დაამთავრა წარსული სეზონი და ზაფხულში 10 ივნისიდან 26 ივლისამდე გასტროლები მოაწყო აფხაზეთის ასსრ რაიონებში, ქალაქებში სოხუმში, გუდაუთში, ახალციხესა და ახალქალაქში.

მაყურებელთა თხოვნით სპექტაკლები „ბაღების სიმღერა“ და „ანიტი“ ქალაქ სოხუმში ვაჩვენეთ სამჯერ.

ჩვენმა სპექტაკლებმა მაღალი შეფასება მიიღო ავრეთვე ახალციხეში, ახალქალაქში, ვალეში.

მაგრამ განველილ სეზონში თეატრის მუშაობაში მთელი რიგი ნაკლოვანებებიც იყო. ყველაზე არსებით ნაკლად ის მიგვაჩნია, რომ თეატრის რეპერტუარში გაბატონებული, წამყვანი არ იყო თანამედროვე თემატიკა.

გაითვალისწინეს რა ეს სერიოზული ხარვეზი, თეატრის ხელმძღვანელობამ და სამხატვრო საბჭომ დროულად და უფრო გულმოდგინედ დაიწყეს მზადება ახალი თეატრალური სეზონისათვის რეპერტუარის შესადგენად.

მიმდინარე სეზონის რეპერტუარშია 4 პიესა თანამედროვე თემატიკაზე: ა. ბაბაიანის „გულის ძახილი“, გ. ტერ-გრიგორიანის „უკანასკნელი მიხაკები“, მ. ბარათაშვილის „ჩემი ყვავილთი“, ნ. პოგოდინის „პეტრარკას სონეტი“. სომხური კლასიკა წარმოდგენილია ისეთი პიესებით, როგორიც არის ა. შირვანზადეს „ავი სული“, გ. სუნდუკიანის „და ასე შემდეგ ანუ ახალი დიოგენესი“, დ. დემირჩიანის „ეართანანქი“. დასავლეთ ევროპის კლასიკიდან დაიდგმება უ. შექსპირის „მეფე ლირი“.

მთავრდება მუშაობა ორ პიესაზე: ბაბაიანის პიესაზე „გულის ძახილი“ — დადგმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, რეჟისორ ა. აბარიანისა, მხატვარი გ. არუთინიანი; გ. სუნდუკიანის „და ასე შემდეგ ანუ ახალი დიოგენესი“, რომლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. უმიკიანს, მხატვარია გ. არუთინიანი, მუსიკა დაწერა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. მკრტჩიანმა. ეს სპექტაკლები ნაჩვენები იქნება უახლოეს ხანში.

სპექტაკლებში მონაწილეობენ თეატრის წამყვანი ძალები: სახალხო არტისტები — ა. ლუსინიანი, დ. ამირბეკიანი, ლ. ალაზვერდიანი, დამსახურებული არტისტები — ე. სტეფანიანი, ა. არშაკუნი, ვ. გალსტიანი, მსახიობები — რ. პაპოვიანი, ე. ეხმატიანი, ა. ყამკოჩიანი, ს. მეკოიანი, რ. სიმონიანი, ს. ეგიაზარიანი და სხვ.

სტაციონარში სპექტაკლების ჩვენებასთან ერთად თეატრს განზრახული აქვს მოაწყოს გასვლითი და პარალელური სპექტაკლები რაიონებში. თეატრის ხელმძღვანელობა იღებს ზომებს იმისათვის, რომ დასი შეაფსოს ახალი მსახიობებით, ამავე დროს დასახულია იმის ღონისძიებანი, რომ თეატრთან შეიქმნას სტუდია, რომელშიც ჩაბმული იქნება ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდობა.

სომხური თეატრის კოლექტივი გამსჭვალულია მხურვალე მისწრაფებით კვლავაც მაღლიოს ხელოვნების მჭიდრო კავშირს ხალხის ცხოვრებასთან, მკაფიოდ აჩვენოს დიადი ისტორიული გარდაქმნები, რომლებიც საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში ხდება.

ი. მამიანი,
თბილისის შაუმიანის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

ახალი წიგნები

ბანოვანი (დესპინე გელოვანი) —„შორეული ლანდები“. რომანი. ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო ს. ცაიშვილმა. რედაქტორი ა. გაბისკირია. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. ფასი 18 მან. 60 კაპ.

მამია ახათიანი — „კავკასიონის კალთებზე“. ნარკვევები. რედაქტორი ე. ზედგინიძე. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. ფასი 3 მან. 60 კაპ.

ვახტანგ ძნელაძე — „მზეს გაუმარჯოს“. ლექსები. რედაქტორი ი. ხოშტარია. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ივანე ურჯუმელაშვილი — „დღეები კორეაში“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორი თ. გოგოლაძე, ფასი 2 მან. 20 კაპ.

ამბრო თომაძე — „გზები და ფიქრები“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორი თ. გოგოლაძე. ფასი 1 მან. 30 კ.

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი

ბლედი, 18 სექტემბერი. საკადესის სპეციალური კორესპონდენტი ი. ბონდარევსკი იუწყება:

ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირის მეშვიდე ტურში ხუთი საათის თამაშის შემდეგ დამთავრდა ორი შეხვედრა. ოლაფსონ-კერესის პარტიაში ისლანდიელმა დიდოსტატმა აირჩია ინგლისური დასაწყისი და საკმაოდ პერსპექტივიანი პოზიცია მიიღო.

მაგრამ შუა პარტიაში კერესმა განსაკუთრებით ოსტატურად ითამაშა და მიაღწია უკეთეს მდგომარეობას, იერიში მიიტანა მძიმე ფიგურებით მოწინააღმდეგის სუსტ პაიკებზე. ოლაფსონის ძლიერმა ციტნოტმა დაიჩქარა მისი დამარცხება — 41-ე სვლაზე იგი დანებდა.

ტალმა პარტიაში ბენკოს წინააღმდეგ აირჩია ჰოლანდიური დაცვის ეგრეთწოდებული ლენინგრადის ვარიანტი. დებიუტის შემდეგ შეიქმნა მეტად რთული, დახლართული პოზიცია. ბენკოს ჩვეულებისამებრ ცოტა დრო დარჩა სვლების მოსაფიქრებლად პარტიის მეორე ნაწილში — სულ 10 წუთი 17 სვლისათვის. ამასთან ტალის პოზიცია ამ მომენტში უკვე უკეთესი იყო. პარტიის ფინალმა სწრაფი ტემპით ჩაიარა. ტალმა იერიში მიიტანა თეთრების მეფეზე. ამ იერიშს სწრაფად უნდა მოჰყოლოდა მისი გამარჯვება. მაგრამ ბენკომ ჯერ კიდევ 30-ე სვლაზე გადააცილა დროს და მას დამარცხება ჩაუთვალეს.

კარო-კანის დაცვის მწვავე ვარიანტში, რომელიც აირჩია სმისლოვმა ფიშერის წინააღმდეგ შეიქმნა რთული პოზიცია. ფიშერმა სცადა იერიში მიეტანა შაგების მეფეზე, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ სმისლოვმა მიიღო უკეთესი მდგომარეობა. შემდეგში მსოფლიო ექს-ჩემპიონმა შეწირა ორი პაიკი, გახსნა ხაზი ლაზიერის ფლანგზე და, შეიქრა რა ორი ეტლით მოწინააღმდეგის ბანაკში, მიიღო უკეთესი ენდშპილი.

შემდეგ მოხდა გამარტივება, და გადადებულ მდგომარეობაში სმისლოვს აქვს გამარჯვების შანსი ოთხეტლიან დაბოლოებაში.

გლიგორიჩმა პეტროსიანთან აგრეთვე გაითამაშა კარო-კანის დაცვა, მაგრამ იუგოსლავიის ჩემპიონმა აირჩია მშვიდი, დიდი ხანია ცნობილი ვარიანტი. შემდეგ მან გააკეთა ორიგინალური სვლა, რომელიც დღემდე მოჭადრაკეებს არ შეხვედრიათ, და შედეგად დებიუტით რამდენადმე უკეთესი თამაში მიიღო. პეტროსიანი აკურატულად იცავდა თავს და თანდათან გაათანაბრა შანსები. ლაზიერების გაცვლის შემდეგ მისი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუმჯობესდა. შემდეგ დაიწყო ორივე მხრივ ციტნტი, რომელშიც ორივე პარტნიორი არაზუსტად თამაშობდა. პარტია გადადებულია. გლიგორიჩს გამარჯვების უკეთესი შანსი აქვს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საჭადრაკო ასპარეზზე გამოჩნდა ახალგაზრდა ამერიკელი მოჭადრაკე რობერტ ფიშერი, რომელმაც საერთაშორისო შეჯიბრებაში მთელ რიგ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. თუ მხედველობაში მივიღებთ ფიშერის ასაკს (16 წელი) მისი წარმატება უდაოდ მნიშვნელოვანია. ციურიხის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში რ. ფიშერმა გაიყო 3-4 ადგილი გროსმაისტერ პ. კერესთან ერთად. პირველი ადგილი, როგორც ცნობილია, დაიკავა მ. ტალმა, მეორე კი გროსმაისტერმა ხ. გლიგორიჩმა, უკანასკნელთან ფიშერმა ამ ტურნირში წააგო. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ფიშერის და გლიგორიჩის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში გათამაშებული პარტია. ამ პარტიაში ფიშერმა ჩინებულად შესძლო რევანშის აღება.

საერთაშორისო ოსტატის
ვ. გოგლიძის რედაქციით

ამგვეყავს პრეტენდენტების ტურნირის მეორე ტურის პარტია

სიცილიური დაცვა

რ. ფიშერი (თეთრები)
ხ. გლიგორიჩი (შავები)

1. e4 c5 2. ∂f3 ∂c6 3. ∂4 cd 4. ∂:d4 ∂f6 5. ∂c3 d6 6. კc4 კd7 7. კb3 g6 8. f3 ∂a5 9. კg5 კg7 10. ლd2 h6 11. კe3 0—0 12. 0—0—0 ∂c4 13. ლe2! ∂:e3 14. ლ:e3 0—0 (თამაშის დაწყებითი სტადია დამთავრდა. ამ დებიუტში, ჩვეულებრივად, თეთრები იწყებენ მეფის ფლანგზე იერიშს, შავები კი—ლაზიერის ფლანგზე. როგორც შემდეგი პარტიის მსვლელობა გვიჩვენებს, ფიშერმა შესძლო უფრო ადრე თავისი გეგმის განხორციელება). **15. g4 ლa5 16. h4 e6 17. ∂de2 ეc6 18. g5 hg 19. hg ∂h5** (თეთრებმა ჩაატარეს მეფის ფლანგზე იერიშის გეგმის პირველი ნაჭილი—„h“ ხაზის გახსნა. ეხლა საჭიროა შავი მხედრის ლიკვიდირება, რომელსაც ძლიერი პოზიცია უკავია). **20. f4 ეfc8 21. მფb1 ლb6 22. ლf3** (თეთრები გაურბიან ლაზიერების გაცვლას და ამზადებენ „f“ პაიკის წინსვლას). **22. .. ეc5 23. ლd3!**

ხ. გლიგორიჩი



რ. ფიშერი

თეთრები: მფg1, ლd3, ეd1, ეh1, კb3, ∂c3, ∂e2, პb: a2, b2, c2, e4, f4, g5 (სულ 13);

შავები: მფg8, ლb6, ეc5, ეc8, კd7, კg7, ∂h5, პb: a7, b7, d6, e6, f7, g6 (სულ 13).

რ. ფიშერმა თავისი მოხდენილი თამაშით მიაღწია საუკეთესო პოზიციას ეხლა მან დაუგო მახე, რომელშიც გლიგორიჩი ვარდება.

23. ... კc3? (გლიგორიჩი უშვებს შეცდომას, რის შემდეგ პარტიას სწრაფად აგებს. პაიკის მოგება გამო ცვლის საჭირო ფიგურას, რომელიც მეფეს იცავდა). **24. ∂:c3 ∂:f4 25. ლf3 ∂h5 26. g:h5!** (ხარისხის შეწირვის შემდეგ შავების მეფის პოზიცია სწრაფად ირღვევა) **26. .. gh 27. ლ:h5 კe8 28. ლh6** (არ აძლევს შავების მეფეს დამალვის საშუალებას) **28. .. ეc3 29. bc ეc3 30. g6 fg 31. ეh1 ლd4 32. ლh7+** გლიგორიჩი დანებდა.

სსრ კავშირის პირველობაზე

„ა“ კლასი

მოსკოვი, 18 სექტემბერი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა ფეხბურთში მოსკოვისა და კიევის „დინამოს“ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ 0:0.

რედაქტორი
დ. მჟელდლიშვილი.

ეკითხეგა თბილისი, უპასუხეგს ბლედი

ბლედი — თბილისი

გუშინ დილით გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია ტელეფონით დაუკავშირდა ბლედში სასტუმრო „ტოპლიცას“, სადაც ცხოვრობენ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირის მონაწილენი და მრავალრიცხოვანი ჟურნალისტები. ყურმილი აიღო გროსმაისტერმა **მ. ტალმა.**

რედაქციამ მისალმების შემდეგ გროსმაისტერს სთხოვა გაეზიარებინა თავისი სატურნირო შთაბეჭდილებანი და ორიოდე სიტყვა ეთქვა თავის შესახებ.

მ. ტალი: სანამ რაიმეს გეტყოდეთ, მინდა მივესალმო ჩემს თბილისელ მეგობრებსა და უცნობ გულშემატკივრებს. არასოდეს არ დამავიწყდება მათი ყურადღება და გულუხვი პატივისცემა, რომელიც თბილისში გამიწიეს XXVI ჩემპიონატის დროს. აქაურ მაყურებლებთან დაკავშირებით ბლედში ვიგონებთ ტემპერამენტიან თბილისელ გულშემატკივრებს, აქაც მწვავედ განიცდიან ყოველ შეხვედრას, პირველ რიგში კი თავიანთი თანამემამულის ს. გლიგორიჩისას. რასაკვირველია, პრეტენდენტთა ტურნირი უფრო მეტი მნიშვნელობისაა, ვიდრე ჩემპიონატი იყო, ამიტომ ტურნირისადმი ინტერესიც შესაბამისად დიდია. ამას ალბათ თქვენც ამჩნევთ გაზეთების მიხედვით.

ახლა მოკლედ ტურნირის შესახებ. შეჯიბრება რომ დაიბეგლია, ეს თავისთავად გასაგებია. აბა როგორი უნდა იყოს მსოფლიო ჩემპიონის სახელის მონაწილეთა თამაში. თქვენ გაინტერესებთ, ვის რა შანსები აქვს პირველი წრის შემდეგ. ამაზე პასუხის გაცემა ნამდვილად მეძნელება. რასაკვირველია, ვისაც მეტი ქულა აქვს, იგი პირველ ადგილზე გასვლის მეტ შესაძლებლობას ინარჩუნებს. მეტი ქულა კი აქვს იმას, ვინც უკეთეს სპორტულ ფორმაშია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ტიგრან პეტროსიანს, პაულ კერესს და, შესაძლოა, მე უკეთესი პერსპექტივები გვქონდეს. მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ წინ კიდევ ბევრი დამქანცავი თამაშია. ვინც ბოლომდე, 30 ოქტომბრამდე გაუძლებს დაძაბულობას, ის გამოვა გამარჯვებული.

ამკარად არ არის იმეუღ საბრძოლო ფორმაში ვ. სმისლოვი. მან უკვე წააგო ორი პარტია, მაშინ, როცა პრეტენდენტთა 1956 წლის ტურნირზე მხოლოდ ერთ პარტიაში განიცადა დამარცხება. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის თამაშს შეუპოვრობა აკლია. მომავალ შეხვედრებში სმისლოვი აღბათ ძალას მოიკრებს და მაშინ... იუგოსლავიელმა ს. გლიგორიჩმა თავიდანვე ვერ ააწყო თამაში და ჯერ კიდევ ვერ დაიბრუნა რწმენა. რ. ფიშერმა სტარტი იმედიანად აიღო, მაგრამ შემდეგ წააგო პარტიები ოლაფსონთან და ჩემთან. გაკვირვებას იწვევს პ. ბენკოს ციტნოტები. იგი ბევრი ფიქრის მოყვარულია და თითქმის ყველა პარტიაში დროის ნაკლებობას განიცდის. ჩემთან შეხვედრაში უკვე 30-ე სვლაზე ამოწურა თავისი დროის ბიუჯეტი და წააგო.

საქებია ტ. პეტროსიანისა და პ. კერესის მონდომება. ისინი მტკიცედ თამაშობენ. პეტროსიანმა უღალატა ყაიმებს და თვითონ ეძებს გართულებას. კერესმა გაიხსენა ახალგაზრდობა და ჭაბუკივით თამაშობს. მის უნარს ნამდვილი ჭაბუკი ფიშერიც კი შენატრის. ყველაფერი რომ რიგზე ყოფილიყო, კერესს 4,5-ზე მეტი ქულა უნდა ჰქონდეს. განა ფიშერთან მოგებული პარტია არ ჰქონდა, რომ წააგო? მაგრამ ბრძოლაში არავინ არ არის დაზღვეული მოულოდნელობისაგან. მხოლოდ პეტროსიანი ნაკლებად ზარალდება შემთხვევითობისაგან, რადგან მისი რკინისებური სტილი ძირშივე სპობს შემთხვევითობას.

საუბარი გამიგრძელდა. ორი სიტყვა ჩემს შესახებ. ტურნირზე მე ნოპერაციევი ჩამოვედი, ისე რომ დასვენებაც კი ვერ მოვასწარი. ამიტომ თავდაპირველად ნერვიულად ვთამაშობდი. ახლა მგონი დავმშვიდდი, ვცდილობ ვითამაშო როგორც ყოველთვის — შეწირვით და მძაფრი იერიშებით.

აი ტიგრან პეტროსიანიც შემოვიდა. ნახვამდის, ყურმილს მას გადავცემ.

ტ. პეტროსიანი ქართულად მიესალმება რედაქციას, რომელიც თავის მხრივ ნიჭიერ გროსმაისტერს ულოცავს შესანიშნავ სტარტს და უსურვებს ასევე წარმატებით განაგრძოს თამაში. ტ. პეტროსიანი მადლობას იხდის და ამბობს:

— რა საამოა ბლედში გაიგო ხმა თბილისიდან, იმ ქალაქიდან, სადაც დაიბადე, ფეხი აიდგი ცხოვრებასა და ჭადრაკში. ჩემთვის ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ თბილისში მოვიპოვე პირველად საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელი. წელს თბილისმა კარგი დამაბედა და მეც მინდა ეს ბოლომდე შევინარჩუნო. ჯერჯერობით მგონი საქმე ცუდად არა მაქვს. მაგრამ რას მიქადის მომავალი? სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ იგი ჩემზეა დამოკიდებული. პაულ კერესი და მიხეილ ტალი მედგრად მიიწევენ წინ. თუ სხვები და პირველ რიგში ვ. სმისლოვი დროებით ჩამორჩნენ, შემდეგში ალბათ ყველანი გამოასწორებენ თამაშს და ბრძოლა პირველი ადგილისათვის უფრო მწვავე ხასიათს მიიღებს. ალბათ ეს უნდათ თქვენს მკითხველებსაც. გარწმუნებთ ასეც იქნება.

დღეს საღამოს მერვე ტურით ვიწყებთ მეორე წრეს. ყველანი თავს კარგად ვგრძნობთ და ცხარე ბრძოლა ვვწყურია. გთხოვთ მომიკითხოთ მშობლიური თბილისის მკვიდრნი, როგორც ცნობილია, დაიკავა მ. ტალმა, მეორე კი გროსმაისტერმა ხ. გლიგორიჩმა, უკანასკნელთან ფიშერმა ამ ტურნირში წააგო. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ფიშერის და გლიგორიჩის პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირში გათამაშებული პარტია. ამ პარტიაში ფიშერმა ჩინებულად შესძლო რევანშის აღება.

ბლედი

19 სექტემბერი

ოპერისა და ბალეტის — დარეჯან ცბიერი (მე-3 აბონ. I-ლი წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — არაგველები, **მარჯანიშვილის სახელობის** დაჭრილი არწივი, **გრიბოიედოვის სახელობის** — წყვდიადიდან გამოქცევა (სეზონის გახსნა), **სომხური დრამის** — ხათაბალა, **თოჯინების ქართული** — დარუბანელი ჭაბუკი (11 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — ლიტვის სსრ დამსახურებული არტისტის ანატოლ იუგოვის კონცერტი.

* * *

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, ისანი** (საზამთრო), **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი, კიროვის სახელობის პარკი** — დაუპატიჟებელი სტუმრები, **ამირანი** (საზაფხულო), **სპარტაკი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზაფხულო) — მხოლოდ უსიამოვნებანი, **ისანი** (საზაფხულო) — მეექსკურსიერენადა, **თბილისი** — ტორეადორი, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **ოფიცერთა სახლი, ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი, ოქტომბრის რაიონის ახალი** (საზაფხულო), **ძერჟინსკის სახელობის** მილიციის **კლუბი** (საზაფხულო) — კემპბელის სამეფო, **26 კომისრის** სახელობის (საზაფხულო), **კოლმეურნე, თანამგზავრი** — გოგონა ეძებს მამას, **საქართველო** (საზაფხულო), **300 არაგველის ბაღი** — ყველასათვის საყვარელი № 13.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
თეატრები და კინოები

19 სექტემბერი

19.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „ეერ ცხალი“ № 14, 20.10 — კინოჟურნალი, 20.20 — თბილისის საოპერო თეატრის მომღერალთა კონცერტი, 21.00 — უკანასკნელი ცნობები, 21.10 — ახალი მხატვრული ფილმი „სისასტიკე“.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა შენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, სალუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

УЗ 04156
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲭᲣᲥᲐᲠᲘ

ამბროლაური. (საკ. კორ.). ამ დღეებში ამბროლაურელმა მშრომელებმა ახალი ძვირფასი საჩუქარი მიიღეს. აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა კეთილმოწყობილი კინოთეატრი, რომლის დარბაზი 450 მაყურებელს იტევს. კინოთეატრს აქვს შესანიშნავი ფოიე; ივანი და ლოჟა. შენობის ფასადს ქართული ორნამენტები ამშვენებს.

კინოთეატრის მშენებლობა მილიონ მანეთამდე დაჯდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ბანოვანი (დესპინე გელოვანი) —„შორეული ლანდები“. რომანი. ტექსტი დაადგინა და კომენტარები დაურთო ს. ცაიშვილმა. რედაქტორი ა. გაბისკირია. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. ფასი 18 მან. 60 კაპ.

მამია ახათიანი — „კავკასიონის კალთებზე“. ნარკვევები. რედაქტორი ე. ზედგინიძე. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. ფასი 3 მან. 60 კაპ.

ვახტანგ ძნელაძე — „მზეს გაუმარჯოს“. ლექსები. რედაქტორი ი. ხოშტარია. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“, ფასი 1 მან. 10 კაპ.

ივანე ურჯუმელაშვილი — „დღეები კორეაში“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორი თ. გოგოლაძე, ფასი 2 მან. 20 კაპ.

ამბრო თომაძე — „გზები და ფიქრები“. სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. რედაქტორი თ. გოგოლაძე. ფასი 1 მან. 30 კ.

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲜᲘ

ქალაქ ბათუმში დიდი აღმავლობით მოეწყო საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1959 წლის მესამე გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ბევრს შეხვდა დიდი მოგება — ავტომანქანები „ვოლგა“, „მოსკვიჩი“, ხალიჩა, სარეცხი მანქანა, მტვერსასრუტი, საკერავი მანქანა, მაცივარი, ტელევიზორი, რადიო და სხვა ძვირფასი ნივთები. საბავშვო ბაღის აღმზრდელებს ერთიმეორეზე ამოაქვთ მოგებანი. მაყურებლები მოუთმენლად ადევნებენ თვალს თავიანთ ბილეთებს. 12008 სერიის № 073 ბილეთმა მოიგო მოტოციკლეტი, რომელიც 5.500 მანეთი ღირს, 12014 სერიის № 014 ბილეთის მფლობელს წილად ხვდა სარეცხი მანქანა, 12021 სერიის 152 ნომრის ბილეთმა მოიგო 2300 მანეთის ღირებულების რადიოლა „ლუქსი“, 12276 სერიის 120 ნომრის ბილეთმა მოიგო ქალის ოქროს მაჯის საათი. სულ ტირაჟში გათამაშდა 2 მილიონ 250 ათასი მანეთის 120 ათასი მოგება.

ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲜᲫᲘ

ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში მცხოვრებ ფ. ბუხრიკიძის ოჯახში ახლახან აღმოჩნდა ბრინჯაოს ძვირფასი განძი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე უპოვნია ბორჯომის რაიონის სოფელ თელოვანში იასონ ვანოს-ძე ბუხრიკიძეს, და დღემდე სათუთად შეუნახავს. აღნიშნული განძი, რომელიც შესდგება 12 ნივთისაგან, ახალციხის ივ. ჯავახიშვილის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს გადმოსცა ვ. ბუხრიკიძის მოხუცმა მეუღლემ.

სოფელი თელოვანი მდებარეობს გუჯარეთის ხეობაში, წაღვერის მახლობლად. აქ 1911-14 წლებში სოფლამდე მისასვლელი გზის მშენებლობისას სოფლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით გამოქვაბულში ადრევე ცნობილ სხვა რამდენიმე ბრინჯაოს ნივთთან ერთად აღმოჩენილია აღნიშნული ნივთებიც. აქ თავის დროზე არქეოლოგიური გათხრები უწარმოებია გოროდცოვს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველა აღმოჩენილი ნივთის შეგროვება და აღწერა ვერ მოუხერხებია. ახლახან აღმოჩენილ და ამჟამად ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ თელოვანის ბრინჯაოს განძიდან უურადღებას იპყრობს ყობანური, ანუ ე. წ. კოლხური ტიპის ცულის ყალიბის ერთი, მარცხენა მხარე, რომელსაც შიგნით სიგრძივ აქვს სამი ჭრილი. ზუსტად ამ ყალიბით არის ჩამოსხმული ამ განძში დაცული ორი კოლხური ტიპის ერთნაირი ცული და სოფელ მიტარბში (ბორჯომის რაიონში) ადრე ნაპოვნი ასეთივე ტიპის ცული. ამ ტიპის ცულები საქართველოში ბევრგან არის აღმოჩენილი, მაგრამ ისინი საგრძნობლად განსხვავებული ფორმისა არიან. მათგან განსხვავდებიან აგრეთვე გასულ წლებში აღმოჩენილი უდის (ადიგენის რაიონშია) ბრინჯაოს განძში ნაპოვნი ცულებიც. აღნიშნულ განძში 4 თოხია, მათგან ყველაზე დიდი თოხი ისე ძალიან არის მოღუნული, რომ შიგნითა მხარეზე გულიც კია გამოყვანილი. ხაჭრელი პირის ორივე გვერდზე სიმაგრისათვის გასდევს მრგვალი ზოლი და ნიღრები, ხოლო შიგნითა პირი ხაზებით არის საგანგებოდ დაჭრილებული.

ზუსტად იგივე ფორმისა და მოყვანილობისაა, მაგრამ მოცულობით ორჯერ ნაკლებია, მეორე თოხი. მესამე თოხსაც ისეთივე პირი აქვს, მაგრამ მათგან განსხვავებით იგი მოუღლნავია. მეოთხე თოხი ორივე ტიპის თოხისაგან დამზადების პრიმიტიულობით განსხვავდება და უფრო ძველიც უნდა იყოს. იგი ოდნავ მოღუნულია, პირი არა აქვს გამოყვანილი, მისი სატარის ანუ ყუის თავი ზემოთკენ ვიწროდ არის წაგრძელებული, დამზადებულია სპილენძისაგან.

ამავე განძშია 4 ცალი ბრინჯაოს ნიჩაბი. ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტარიანი, ბრტყელი, თხელპირიანი სატევრები. მათ შორის ორი, შედარებით დიდი, საომარი დანიშნულებისა უნდა იყოს. მათგან ერთს, ყველაზე დიდს, ზემოდან აქვს გაკეთებული ტარზე დასამაგრებელი, ხოლო ორი უფრო პატარებია და ეტყობა ტყავის დამუშავებისათვის იყო გამოყენებული.

ამრიგად, სოფელ თელოვანის ბრინჯაოს განძი მიეკუთვნება გვიანი ბრინჯაოს ხანას — დაახლოებით XV-XI საუკუნეებს ჩვ. წელთაღრიცხვამდე, ე. ი. 2